ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

წელიწადი მეცხუთე — ოთხშაბათი, 23 ივლისი 1919 წ. № 154 — ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართი გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:—თბილისი „საქართველო".

ტელეფონი № 15—73.

ყურადღება!.. მოითხოვეთ საუკეთესო ხარისხის ყურადღება!..

დაწმენდილი არაყი, კონიაკი და კახური ღვინო

ძმ. სესიაშვილებისა

(ღვინო იყიდება „ვედრობით" და „ბოჭკობით". სელმისაწვდენ ფასებში) მისამართი ვაგზლის ქ., ტ. ტელეფ. 25—86

25—86 2

უნუგეშო მშობლები ნიკოლოზ და მარგარიტა ციციშვილები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ დაკარგვას ძვირფასი და დაუვიწყარი გოგონის ერთათ ერთი

თინიკოს

უდროოდ დაკარგვას 21 მკათათვეს. გამოსვენება ხუთშაბათს, 25 მკათათვეს საკუთარ ბინიდან იზმაილოვის ქ. 27. 2—2547 1

26 ივლისი (13 ივლ. ძვ. სტილით) ღიით შაბათს სოფელ სახანოში (შორაპნის მაზრა) კვირა მცხოვლის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცის წირვა და ჰანაშვიდი უდროოდ დაღუპულის

ივანე ნოგრევანის ძის ალავიძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, ღრმათ მწუხარეები ძმები სვიმონ და ალექსანდრე. რძალი კლავდია ალავიძეები, დები მარო გვირწითლისა ქმარ-შვილით, სალომე საყვარელიძისა ქმრით, დეიდა ბაბუცა ბდუშელიშვილი

1—2548—1

ქარველ მსახიობთა საპროფესირ კავშირი მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას ქართული სცენის დამსახურებული მოკარნახის

მიშა მარჯანიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 ს., გამოსვენება ხუთშაბათს, მკათათვის 24, ნაშუადღევის 3 ს. სასტუმრო „კავკაზიდან".

1—153—1

ანნა სვიმონის ასული შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ, 16 მკათათვეს ტრაღიკულად გარდაიცვალა ბრძოლის ველზე მყოფი პირველის მეუღლე და მამა მეორეთა პოდპოლკოვნიკი

ალექსანდრე ისაკის-ძე იორდანაშვილი

პანაშვიდი გადახდილ იქნება 23 მკათათვეს, წმიდა გიორგის (ქვაშვეთის) ეკლესიაში საღამოს 7 საათზე დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

(1—2549—1)

გულ დათუთქული დედ-მამა იოსები და პელაგია მესხი, ძმები დავითი მეუღლით და სიმონი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს უდროოდ გარდაცვალებას დაუვიწყარ

ბარჩხალასი

ქუთაისის მე 6 კლასის მოწაფის

(1—2546—1)

ქართველ ქალთა

27 მკათათვე

გაზ. „საქართველო"-ს საღამო

ხუთშაბათს, 24 ივლისს საჩაიე

„ძმურ ნუგეშში"

საქველმოქმედო მიზნით თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოების გამგეობა მართავს

„ძმურ ნუგეშის" დღეს

ფრიად საინტერესო პროგრამით შუადღის 12 საათიდან სადილის დროს დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი. საღამოს კაბარე და დივერტისმენტი. აგრეთვე იქნება კონცერტიც განყოფილება. მონაწილეობას იღებენ ჩვენი ახალგაზრდა მგოსნები.

მენშევიკების საგარეო პოლიტიკა

უნდა ვიფიქროთ, რომ საზღვარგარეთ გაგზავნილ ჩვენს დელეგაციას განსაკუთრებული მანდატი აქვს მინიჭებული და მოქმედებს წინდაწინვე შემუშავებულ საერთო დირექტივების მიხედვით. უდიდესი მნიშვნელობის სახელმწიფოებრივი საკითხები ჩვენმა სპეციალურმა დელეგაციამ უნდა გადასჭრას თანახმად ოფიციალურ დავალებისა და ერის კატეგორიულ მოთხოვნილებისა.

თავისთავად იგულისხმება, გარდა ამისა, რომ ევროპაში მომქმედი ქართული არა ოფიციალური ორგანიზაციები ვალდებულნი არიან საპასუხისმგებლო საკითხებში შეუთანხმდნენ საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენლობას, რათა აცილებულ იქმნეს რაიმე გაუგებრობა და კერძო პირების თვითნებურ გამოსვლებმა საქვეყნო საქმეს ზიანი არ მიაყენონ.

სამწუხაროდ, საზღვარგარეთიდან დროდადრო სწორედ ისეთი ცნობები მოგვდის, რომელნიც გვარწმუნებენ, რომ ჯერ ერთი, ოფიციალური ჩვენი წარმომადგენლობა ვერ იჩენს საკმაო დიპლომატიურ უნარსა და შორსმჭვრეტელობას და, რაც უფრო სავალალოა, სხვა და სხვა არა ოფიციალური დელეგაციები თაოსნობას იჩენენ ისეთ საკითხების გარდაწყვეტაში, რაც მათთვის არავის მიუნდვია და არ შეიძის მათ პირდაპირ დანიშნულებაში!

გაზეთებში მოთავსებულია ამსტერდამის სოციალისტურ კონფერენციის ზოგიერთი პოლიტიკური დადგენილებანი და, სხვათა შორის, ის მუხლი, რომელიც ეხება ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებს. კონფერენციას სპეციალური დადგენილება გამოუტანია აგრეთვე ქართველ-სომეხთა ურთიერთ დამოკიდებულების თაობაზე: იმ დადგენილებაში, რომელიც ეხება სომხეთისა და საქართველოს დელეგაციების (?) შეთანხმებას ვკითხულობთ შემდეგ სტრიქონებს. „კონფერენცია სიამოვნებით აღნიშნავს, რომ დელეგატები საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიისა სომხის სარევოლიუციო პარტია „დაშნაკცუტიუნისა" შეთანხმდნენ".. და, იცით რა საკითხში? ლორისა და ჯავახეთის საზღვრების გამოჯვნაში... დადგენილება დასძენს: ორივ დელეგაციამ შეთანხმებულად შემდეგი გადასწყვიტა: 1) დავა გადასწყდება (ლაპარაკია ლორ-ჯავახეთის საზღვრებზე) რეფერენდუმის საშუალებათ; 2) რეფერენდუმს აწყობს სპეციალური კომისია, რომელიც ზომებს მიიღებს ზეგავლენის ასაცდენად; 3) რეფერენდუმის შედეგი სავალდებულოა ორთავ რესპუბლიკისათვის; 4) ეს შეთანხმება უნდა შეიტყობინოს პარიზის ოფიციალურ კონფერენციას.

სომხის დელეგატები ამით კიდევ არ დაკმაყოფილებულან და დაჟინებით მოუთხოვნიათ სხვა მუხლების ჩართვაც, მაგრამ ბოლოს უკან წაუღიათ პრეტენზიები...

უნდა გამოვტყდეთ, ჩვენ კმაყოფილი ვიქნებოდით, უკეთუ ეს უკანასკნელი შეხლებიც გამოქვეყნებული ყოფილიყო, რადგანაც დანამდვილებით გვეცოდინებოდა სომხების ის მოთხოვნილებანი, რაშიაც ისინი, ალბად, თავისუფლებას იტოვებენ, თუნდ იმავე პარიზის კონგრესისთვის! ეხლა ჩვენ სომხეთის ჩრდილოეთის პრეტენზიებზე ჯერ ხნობით წარმოდგენა გვაქვს ხოლოდ იმ აუარებელ ევროპა-ამერიკაში გამოცემულ სომხის ჟურნალ-გაზეთებიდან, რომელთაც მუდამ თანდართული აქვთ „ახალ სომხეთის" რუკა, რომლის თვალუწვდენლობა შურით აღავსებდა თვით ალექსანდრე მაკედონელსაც...

ამ წერილში სომხეთის ახირებულ პრეტენზიებს არ შევეხებით, ეს არც ისე საინტერესოა მაინცადამაინც.

ჩვენ გვინდა გავიგოთ: ვინ დაავალა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მიერ გაგზავნილ დელეგატებს შეუთანხმდნენ სომხებსა, ოლ სხვა ერების წარმომადგენლებს საქართველოს სახელმწიფო ტერიტორიის განსაზღვრაში? რა უფლებით ურიგდებიან სოციალ-დემოკრატები დაშნაკელებს სადავო საზღვრების საკითხებში და იცის თუ არა საქართველოს კანონიერმა მთავრობამ, რომ საზღვარგარეთ ამ სახიფათო გამწვავებულ ჟამს კერძო ჯგუფები ითვისებენ სახელმწიფოებრივ უფლებებს და საქართველოსათვის აშკარა საზარალოდ მოქმედებენ.

ჩვენ არ ვიცით პერსონალურად ვინ იღწვის სოციალ დემოკრატიულ პარტიის ახელით ამსტერდამის ინტერნაციონალში! ეჭვი გვეპარება, რომ ორმაგ მუშაობას ოფიციალურ დელეგაციის ზოგიერთი წევრი აწარმოებს და ეს მიგვაჩნია ყოვლად შეუწყნარებელ და დასაგმობ მოვლენად: არავინ იცის ჯერ, რამდენად ეგუება საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესი სოციალ-დემოკრატების ზრახვას, ხოლო მოსალოდნელია, რომ სახელმწიფო დელეგაციის პოლიტიკური ნაბიჯები ხშირად მიუღებელი იქნება ს.-დ. ცენტრალურ კომიტეტისათვის! ის ხომ ვიცით, რომ სოციალ-დემოკრატია სახელმწიფო პოლიტიკას პერსპექტივის იმედით აწარმოებს და ზოგიერთ მენშევიკს ცხადი გალლიუციანაციის ნიშნებიც ეტყობა ამ მხრივ, მაგრამ ოფიციალური დელეგაცია ხომ რეალურ პოლიტიკას უნდა მისდევდეს და მოღვაწეობდეს, მაშასადამე, შესაძლებლობის ფარგლებში... რა მდგომარეობაში აყენებენ ჩვენს სახელმწიფო დელეგაციას სოციალ-დემოკრატიის აგენტები, როდესაც სომხებთან „ხელშეკრულებას" სდებენ რესპუბლიკის საზღვრების ამოხაზვის შესახებ? საიდან შეიტყეს ჩვენმა სოციალ-დემოკრატებმა და მათ საზღვარგარეთელ „დიპლომატებმა", რომ საქართველოს სახელმწიფო რეფერენდუმით გადასწყვეტს ერის სიცოცხლის საკითხებს და ცვალებად ელემენტების განწყობილებაზე ააგებს სახელმწიფოს ყოფა-ცხოვრებას!?

დამაფიქრებელი ამბები ხდება ევროპაში! ყოველ დღე უნდა მოველოდეთ ერთი მეორეზე უარეს სიურპრიზებს! ვინც გნებავთ, ყველა იკუთვნებს სახელმწიფოს წარმომადგენლობის უფლებებს! სად არის ნამდვილი ხელისუფლება? ვინ არიან ქართველი ხალხის სახელით მომქმედნი საზღვარგარეთ და მისი ბედის გადამწყვეტნი?

როგორც შინ, ისევე გარედ „პრეფექტია მონასტერი".

პარტიული გრძოლა მესხეთ-ჯავახეთში

დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნების მოახლოვების გამო მესხეთ-ჯავახეთი უკიდურეს პარტიული ბრძოლისა და კინკლაობის ასპარეზი გახდა.

სამწუხაროა, რომ ჩვენი პარტიების ხელმძღვანელი ვერ შეეგნიათ, რომ ამ კუთხეში ასეთი უკიდურესი პარტიული ბრძოლის წარმოება, შესაძლოა, სასარგებლოა ამა თუ იმ ჯგუფის ეგოისტური ინტერესებისთვის, მაგრამ უდავოდ მავნებელია და საზიანო საქართველოს სახელმწიფოებრივი მიზნებისათვის.

ამიტომ იყო, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოითხოვდა, რომ საქართველოს განაპირა კუთხეებში, სადაც მრავალი პოლიტიკური სირთულე არსებობს, საქართველოში მომქმედნი პარტიები ერთი შეთანხმებული სიით გამოსულიყვნენ. მაშინ შესდგებოდა სია უმთავრესად ადგილობრივ მოღვაწეთაგან და ეს კანდიდატები გავიდოდენ დამფუძნებელს კრებაში პარტიული შფოთისა და ბრძოლის აცდენით.

მაგრამ ეს არ იქმნა მიღებული. მთელი საქართველო არჩევნებისათის ერთ ულქად იქმნა გამოცხადებული და საერთო სიით უნდა მომხდარიყო არჩევნები საქართველოს ყველა კუთხეში.

მიუხედავად ამ გარემოებისა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მაინც იმ აზრისა იყო, რომ მესხეთ-ჯავახეთს, რომელსაც ათასი უბედურება თავს დაატყდა და განადგურებული იყო და სულიერად დაჭანცული, ჩვენი პარტიები პარტიული კინკლაობით არ მოვლინებოდენ და რაც შეიძლება მათ იქ მშვიდობიანი მუშაობა ეწარმოებინათ.

სამწუხაროდ ჩვენმა პარტიებმა თავისი ეგოისტური ინტერესები სახელმწიფოებრივ ინტერესებზე უფრო მაღლა დააყენეს და მესხეთ-ჯავახეთში საშინელი მძულვარებითა და სიბრაზით აღსავსე ბრძოლა გააჩაღეს.

ამ ვიწრო პარტიულ საქმიანობაში მარცხენა და მარჯვენა უკიდურესობა ერთმანეთს ეჯიბრება. სოციალ დემოკრატებისა და ეთი მსგავსი სოციალისტურ პარტიათა საარჩევნო ზნეჩვეულება ცნობილია. კენჭების ძიებაში ეს პარტია ყოველივეს ივიწყებს. მაგრამ ეს პარტია ამ ჟამად გაბატონებული პარტიაა საქართველოში და მისთვის ძველი ხრაკები შეიძლება ისე საჭირო აღარც იყოს.

პარტიული კინკლაობის პირველობა მესხეთ-ჯავახეთში უცილობლივ დაუმტკიცებია იმ ჯგუფს, რომელიც თავის თავს „ეროვნულ პარტიას" უწოდებს. ამ ჯგუფს რაც უნდა მოხდეს დამფუძნებელ კრებაში ერთი თავის წარმომადგენლის გაყვანა დაუსახავს მიზნად და ამის მისაღწევად არავითარ საშვალებას აღარ ერიდება ამ დამატებით არჩევნებში რომ მათ ერთი კაცი გაიყვანონ, ამისთვის საჭიროა, რომ მათ იმ ორიოდე მაზრაში სადაც არჩევნები ხდება ჯხლა, სამჯერ მეტი ხმა მიიღონ, ვინემ მათ მთელს საქართველოში მიიღეს თებერვლის არჩევნებში. წესიერი გზით, რასაკვირველია, ისინი ამას ვერ შესძლებენ, მაგრამ უწესო საშვალებითაც ამას ვერ მოახერხებენ და ტყვილა უბრალოდ შეაქცევ. მესხეთ ჯავახეთში ასეთი მავნე და ბოროტი სულისკვეთება.

მათ ისარგებლეს იმ გარემოებით, რომ ეროვნულ დემოკრატიული პარტია არ დაესხა მესხეთ-ჯავახეთს კენჭების მოსაკრებად იმ წამსვე როგორც იმ ბრძოლა შეწყდა და დარბეული ხალხი თავის დაშცეული კერის აღდგენას შეუდგა. ისინი კი ხალხს მოევლინენ, როგორც ეროვნულ-დემოკრატები. იმითაც კი ისარგებლეს, რომ რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებში ეროვნულ - დემოკრატიულ პარტიის სიის ნომერი იყო რვა და ეხლა ეს რვა ნომერი მათ ჯგუფს ჰქონდა.

ჩვენ თანამოაზრეთა უმრავლესობამ არ იცოდა, რომ ეს ჯგუფი უკვე აღარ იყო ჩვენს პარტიაში, რომ ბ. მიხეილ მაჩაბლის ჯგუფი პარტიიდან გაძევებული იყო მისი უკიდურესათ მემარჯვენე მიმართულებისათვის.

და განა „ეროვნულმა პარტიამ" არ იცის, რომ მათი უკიდურესად რეაქციონერული და კონსერვატიული მიზნები მიუღებელია მესხეთ-ჯავახეთისათვის, როგორც ეს მიუღებელია მთელ საქართველოსთვის. ეს მათ კარგად უწყიან და თავის ფიზიონომიის როდი აშკარავებებთან. სურთ პარტიულ კინკლაობის კორიანტელში დაფარონ თავისი სახე. გაზეთებში იყო აღნიშნული, რომ ამ ვიწრო პარტიულ მიზნების მიღწევას, კენჭების შოვნას მათ ანაცვალეს არა მარტო პოლიტიკური რიგიანობა, არამედ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების სახელი, პრესტიჟი და საღსარიც. აღნიშნავდენ პრესაში, რომ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მუშაობა მესხეთ-ჯავახეთში სავსებით ამ ჯგუფის კენჭების ძიების საქმეს შეეწირა. სამწუხაროდ ასეთს ცნობებს არ უარყოფს საქველმოქმედო საზოგადოება, ხოლო გაზეთი „კლდე" სიტყვას ბანზე ისვრის. ამბობენ საზოგადოების თავმჯდომარის ბ. მიხეილ მაჩაბლისათვის რამოდენიმეჯერ მიუმართავთ მახლობელ წევრებს თხოვნით, რომ მას საქველმოქმედო საზოგადოების კრება მოეწვია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ სრულდება. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ყოველივე ეს არ გამართლდება და ქართული საქველმოქმედო საზოგადოება, რომელსაც დიდი და სახელოვანი წარსული აქვს პარტიულ ეგოიზმით გაჟღენთილი ინტრიგანების მსხვერპლი არ გახდება.

მაგრამ უთუოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელ ორგანოებსაც დაედებათ ერთგვარი ბრალი და დანაშაული მესხეთ-ჯავახეთის წინაშე, უკეთუ ეს ქვეყანა მათ კიდევ უკიდურეს მიმდინარეობათა საჯიჯგნათ დასტოვეს და იქ თავისი მეშვეობა არ განაახლეს.

უკანასკნელი ცნობები

გერმანეთსა და პოლონეთს შორის ბრძოლა გრძელდება.

გერმანიის რწმუნებულად საფრანგეთის მთავრობის წინაშე დაინიშნა ბარონ ფონ-ლესნერი.

შვეიცარიის მიწა-წყალზე დასახლებული გერმანელები სამშობლოში ბრუნდებიან.

მანჰეიმის მკვლელობის საქმეზე მოლაპარაკება მოკავშირეებმა ფოშს მიანდეს, გერმანელები დიპლომატიური გზის უარყოფისათვის პროტესტს აცხადებენ.

ეკატერინოზურგის რაიონში ბოლშევიკებმა მოხალისეები დაამარცხეს და 1000 კაცი ტყვედ წაიყვანეს დანარჩენ ფრონტზედაც უტევენ.

მოკავშირენი მოითხოვენ, რომ ავსტრიამ ჰუნგრეთს ომი გამოუცხადოს.

სომხეთის ეროვნული საბჭო

სომხეთის ეროვნულ საბჭოს არჩევნები, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გადაიდო.

თავის დროზედ ჩვენ აღვნიშნეთ მთელი შეუსაბამობა თვით ამ არჩევნების მოხდენისა და „სომხების პარლამენტის“ მოწყობისა საქართველოს შუაგულში.

ჩვენ მაშინ ვწერდით, რომ სომხების ეროვნულ საბჭოს სახით, საქართველო დაინახავს იმ ძალას, რომელიც მუდმივ ოპოზიციაში იქნება საქართველოს სახელმწიფოებრიობისადმი და ეს საბჭო, სახელმწიფოში ახალ სახელმწიფოს მოწყობას მოინდომებს.

ჩვენი განცხადება მაშინ, რასაკვირველია, მიღებულ არ იქმნა მხედველობაში და მართველმა პარტიამ, პირიქით თვით მიიღო მონაწილეობა ამ არჩევნებში და თვით, როგორც ერთი მებრძოლი ძალთაგანი, ჩაერია საარჩევნო კომპანიაში.

საქართველოს სოციალ-დემოკრატია ფიქრობდა, რომ სომხებიც ისევე მობოჭავდა იმ „ქაღალდებს“, რომელიც ასე უხვად „აავსო“ თავისი ყუთები საქართველოს დამფუძნებელ კრების არჩევნებში.

როგორც სჩანს, მენშევიკებს იმედები არ უმართლდებათ, რომ არჩევნები გადაუდვიათ.

სამაგიეროთ აი რა პასუხს იღებენ ამისთვის სომხებისაგან.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ №-ში იბეჭდება სომხების ეროვნულ საბჭოს დადგენილება არჩევნების გადადების შესახებ და აი რა სწერია იქ:

„მთავრობამ თავის დეკრეტით ფეხქვეშ გასთელა ეროვნულ საბჭოს ძირითადი უფლებანი და მიითვისა არარსებული უფლება **შინაურ საქმეებში** ჩარევისა, არსებულ და მომქმედ კანონდებლობის წინააღმდეგ და ეროვნული საბჭო **„არ გადასდებს არჩევნებს,** მაგრამ დაემორჩილება უხეშ ძალას“.

ესმისთ თუ არა ამ ამონაწერის მნიშვნელობა სომხების ეროვნულ საბჭოს დამცველებს?

საქართველოს მთავრობამ მიითვისა სომხების ეროვნულ საბჭოს უფლებები და მის შინაურ საქმეებში ჩაერია.

არის თუ არა ეს ტენდენცია სამთავრობო უფლებების მითვისებისა?

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. აი რას აპირობენ სომხები მომავალში:

„ეროვნული საბჭო აცხადებს რომ, მომავალში, იგი დაამყარებს თავის უცილობელ უფლებებს და თავის მოქმედებას თვითვე მართავს არსებულ კანონმდებლობის ფარგალში“.

სომხების საბჭოს პასუხი თვის და თავად მეტყველია.

ნუ თუ ამის შემდეგაც არ დარწმუნდებიან ჩვენი მენშევიკები, თუ რა გველს ასაზრდოებენ...

პრესა

სიმართლის მოსმენაზე „ბორბამ“ სიმშვიდე დაჰკარგა და გვწვდა უნამუსო ბრალდებებით და ქუჩურის დემაგოგიით. რომ მთავრობის ოფიციოზი არ იყოს და ჩვენი საგარეო პოლიტიკის ორგანო, მის ლათაიებზე კრინტსაც არ დავსძრავდით.

ხალხი, რომელიც ოცდა ათი წლის განმავლობაში უგუნურის სიცოფით სამშობლოს იდეას ებრძოდა და მტრობდა საქართველოს პოლიტიკურ სუვერენობას; ხალხი რომელიც ოცდა ათი წლის განმავლობაში ღალატობდა ეროვნულ მიზანს, რომელმაც მხოლოდ ვეჰიბ ფაშის მოთხოვნით მის მუქარაზედ და მის ზარბაზნის შიშით გამოაცხადა ქვეყნის დამოუკიდებლობა; ხალხი, რომელიც თვისი ნაფიცი „პორტ-პაროლის“ პირით გამოსთქვამდა, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება ჩვენი დამარცხებააო, ეს ხალხი ბედავს წარმშეუხსნელის უტიფრობით სამშობლოს ორგულობის და ღალატის ბრალდება გვესროლოს!

ჩვენთვის სამშობლოს თავისუფლება იყო წარმტაცი და მომხიბლავი.

იმ დროს როდესაც იგი მსხვერპლს მოითხოვდა, სიცოცხლით და მთელის ყოფით, როდესაც იგი თქვენ გძულდათ მთელის არსებით, ის იყო ჩვენი უზენაესი მისწრაფება და დღეს მის დაცვაში ვხედავთ ჩვენს მოქალაქობრივ დანიშნულებას. და ხალხი, რომელმაც სამშობლო იძულებით შეიწყნარა და ბ-ნნი ვოიტინსკები, რომელთაც საქართველოზე არასოდეს არ უფიქრნიათ, ეს ხალხი და ეს ვოიტინსკები, რომლებისათვისაც დღეს საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა პირადი სარგებლობისა, პატივმოყვარეობის და დიდკაცობის დაცვას მოასწავებს, ეს ხალხი ლაფს ასხავს და ათახსირებს იმათ, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობას ეთაყვანებოდა იდეურის სიწმიდით და აღფრთოვანებით. „ნოვაია ჟიზნის“ მობოლშევიკე პუბლიცისტი, რუსეთიდან გამოქცეული, ბედავს აქ „j,accuse“-ები გვაწეროს და ცუდი ქართველობა დაგვწამოს; ამას ჩადის კაცი, რომელსაც საქართველო თვის დღეში არ უგვრძნია და თავის დღეშიც ვერ იგრძნობს! ან რატომაც არ ივექილებს! რუსეთიდან გამოქცეული, და გაფაცქვნილი, აქ დიდის ორეოლით შემორტყმულია; დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა მას ფიანდაზათ ეგება; არ აკლებს არც ზნეობრივ სითბოს და მაღალ მეგობრულ ყურადღებას და არც ნივთიერ მორჭმულობას. ასეთ პირობებში რატომაც არ ივექილებს. ეს ანგარიშის საქმეა! და ანგარიში ვოიტინსკები ჩვენა გვჯობიან...

ბ-ნი ვოიტინსკი, ბრაზით დამხჩვალი სჭყავის „ბორბას“ ფურცლებზე: თქვე დენიკინის ფარულ თანამოაზრენოო! ღმერთმაც გადააშენა თქვენი დენიკინები თქვენი ლენინები და მარტოვები, არც ერთი არ გვინდოდეს! ხოლო ჩვენ კი ვიცით და ეს არც კი გვიკვირს, რომ ზოგი რუსის ნაფიცი მენშევიკი, რომელიც საქართველოში ოფიციალურ ხარჯზე სცხოვრობს, დენიკინის აგენტია. თავის დროზე ამაზედაც მოვილაპარაკებთ.

და თუ დენიკინთან საქმის დაჭერას არ თაკილობენ, რომ საქართველო რუსეთს დაუმონავონ, რა იქნება მაშინ, როდესაც დენიკინის ადგილს მარტოვები და დანები დაიჭერენ, როდესაც ვოიტინსკები აქედან „მშობლიურ“ რუსულ ჟურნალისტიკას დაუბრუნდებიან და რუსეთის აშენებისთვის ივექილებენ! როცა ეს მოხდება, მაშინ ჩვენი მენშევიკების განსაცდელიც დადგება. რუსის მენშევიკების სარდლების დაძახილზე, გვეშინიან, სერიოზულად გვეშინიან, არ იხუილონ ჩვენმა მენშევიკებმა და „ნაურათ“ მტრის ბანაკში არ გადავიდნენ და სამშობლოს ძველებურ ოპოზიციაში არ ჩაუდგნენ!

ჩვენთვის კი ერთნაირად მიუღებელია და ერთნაირად გვძაგს როგორც დენიკინის რუსეთის, ისე მენშევიკურ და ბოლშევიკურ რუსეთის საქართველოში შემოსვლა...

— ჰა, თქვე მემამულეთა შეთქმულობის მონაწილეებოო, კიჟინას სცემს ისტერიკაში ჩავარდნილი „ბორბას“ რედაქცია და მათი „ალტერ ეგო“ ვალოდია ვოიტინსკი. გვესმის, რომ „ბორბას“, ვოიტინსკის და C° პოლიტიკური უნამუსობა, პოლიტიკური უტიფრობა და ცილის წამება სჭირია თავიანთ სიწმინდის დასამტკიცებლად და სხვების გასაშავებლად ქუჩის თვალში. ეს თქვენი სტიქიონია და ამ მიმართულებით გზა დაგვილოცნია.

„ბორბა“ განაგრძობს, რა ხალხი ხართ, რომ მთელი წელიწადნახევრის განმავლობაში არც ერთი სალი აზრი არ წამოგიყენებიათ არც ერთი კანონპროექტი არ შეგიმუშავებიათ, არც ერთი დასაბუთებული შეკითხვა არ შემოგიტანიათო!

ამას სწერს ხალხი, რომელსაც მთელი წელიწად ნახევარი საკუთარი დამხჩალ და უნიადაგო აზრების და შეხედულებების დასაფლავებაში გაატარა. ტანზედ ერთი გოჯი ადგილი არ შეურჩენიათ, ცოცხალი და დაუბეგველი. თუ რამეა თქვენში დადებითი, ეს თქვენი აზრების და მეთოდის ლიკვიდაციაა და გაზიარება იმ აზრების,ა რომელსაც იმ თავითვე ვადექით და დღესაც ვიცავთ. რაც შეეხება შეკითხვებს, ჩვენი მთავრობა აქამდის ათჯერაც ჩამოვარდებოდა სწორედ იმ შეკითხვების შემდეგ, რომელიც სხვა და სხვა დროს ტრიბუნაზე გამოგვიტანია, რომ პარტიული სერვილიზმი და ხელთა სიხშირე ფარად არ ედგას მთავრობის უპასუხისმგებლობას, მის უსუსურობას და ხშირ თვითნებობას.

„უგანათლებულესი“ თომა

(პატარა შენიშვნა).

ვოიტინსკის გაზეთ („ბორბას“) არ მოეთხოვება იმის ცოდნა რომ სამეგრელოს მთავარს ნიკოლოზ დავითის ძე დადიანს მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს, ნიკოლოზი, რომელიც პეტერბურგში სცხოვრობდა? შეიძლება კიდევაც სცხოვრობდეს. ამ ხალხის გენეალოგია მას რაში უნდა ეპიტნავებოდეს, როდესაც საკუთარ მოდგმის გენეალოგიასაც პატივს არ სცემს. არც ხელსაყრელი იყო ბ-ნი ვოიტინსკისთვის ცნობები შეემოწმებია და მათზე იჭვი მიეტანა, ვინაიდან მაშინ ერთი სახელდახელო სადემაგოგიო მასალა შემოაკლდებოდა, რომ იოლად დაეწამა მუხანათობა და მოღალატეობა ჯერ თავადაზნაურობისათვის და მერე ყველა იმისთვის, ვინც ქართველია შეგნებით, სისხლ-ხორცით და პოლიტიკური მოქმედებით. ოდნავი ზნეობრივი მოკრძალებაც საკმარისი იქნებოდა, რომ ვოიტინსკი ამგვარ ბრალდებას დარიდებოდა იმ ქართველი სხეულის ერთი ნაწილის მიმართ, რომელსაც ათასის წლობით საქართველოსთვის უწინამძღვრია და მისი დამოუკიდებლობა მეცხრამეტე საუკუნოს დასაწყისამდე მოუტანია! მაგრამ რა ზნეობრივ მოკრძალებაზე შეიძლება ლაპარაკი ამ ხალხის ბანაკში! რომ ჩვენი სინამდვილის დეტალებზე მეტი დაკვირვება ჰქონოდა ვოიტინსკის რეადქციას, მას ეცოდინებოდა რომ „უგანათლებულესი“ თომა—ერთი უბრალო ოქრომჭედლის შვილია, ჩამომავლობით გლეხი, რომ იგი ერთი პსიხოპატია შეპყრობილი იდეი ფიქრით, რომ იგი, თომა უგანათლებულესი ნიკოლოზ დავითის ძე დადიანის შვილია. რა ვუყოთ, რომ გლეხ ქარდავას უგანათლებულესობა მოუნდა და ამისთვის დენიკინსაც ეპატიჟება! ვაგლახ, რომ ვოიტონსკის ფეხი მოუცდა განტევების ვერძების ჩასაწიხლავად! ასე იცის სულთასწრაფვამ ღვარძლმა და მტრობამ.

საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაული სტამბოლში

სტამბოლი. მაისის 27. (დაგვიანებითაა მიღებული) მაისის 26, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, აქაურმა ქართველობამ „უმანკო ნასახების“ სავანეს ძმობის მეთაურობით, ზეიმით იდღესასწაულა საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავი. ახალშენი მთავრობას უსურვებს ხანგრძლივ და ნაყოფიერ მუშაობას, ის მზათაა თავი შესწიროს ამ დამოუკიდებლობის მტკიცედ დაცვას.

ქრონიკა

✧ **ფრონტის დღე.** ფრონტის დღის მომწყობი მთავარი კომიტეტი უმორჩილესი თხოვნით მიმართავს რაიონების, სხვა და სხვა კლუბებსა და ბაღებში მეთვალყურეთ არჩეულთა და მატარებლებში ფრონტის დღეების მომწყობ წარმომადგენლებს, დაუყონებლივ ჩააბარონ მთავარ კომიტეტს დაწვრილებით ანგარიშები და აგრეთვე შემოსავალი გამართულ გასართობებიდან 23 ივლისს ოთხშაბათამდე რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამართულ დღეებიდან. დაჩქარებით უნდა წარმოდგინდეს ანგარიშები და შემოსავალი, უკანასკნელი ვადა კი 1 აგვისტოა პროვინციისთვის დანიშნული, რომლის შემდეგ გაზეთებში გამოცხადებული იქნება. სრული ანგარიში („ფრონტის დღეების შედეგებისა. ყველა დაწესებულებებმა ორგანიზაციებმა და კერძო პირთა, რომელთაც გაიღეს შემოწირულებანი ან და აწ აპირებენ დაეხმარონ ფრონტს—თავისი დადგენილებანი ამ ფულის გაღების შესახებ ცნობები და თვით ფულის თანხაც მთავარ კომიტეტს უნდა ჩაბარდეს 26 ივლისის შაბათამდი ფულის შემოწირულებისა, და მიწერ-მოწერის და პირადი მოლაპარაკება კომიტეტის წევრებთან შეიძლება ყოველ დღე შემდეგის მისამართით: სასახლე, ქვესტორის კაბინეტი, ან რუსთაველის ქუჩა სახლი № 24. მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე სერ: ჟორჟოლიანი.

✧ **მისასალმებელი დეპეშა.** ამ დღეებში შესდგა ბორჩალოს მაზრის ახლად არჩეულ ერობის ხმოსანთა პირველი სხდომა, რომელმაც მისასალმებელი დეპეშა გამოუგზავნა საქართველოს მთავრობასა და დამფუძნებელ კრებას.

✧ **დამატებითი არჩევნების შესახებ.** დამფუძნებელ კრების ცენტრალურ-საარჩევნო კომისიამ არ დააკმაყოფილა თიანეთის მაზრის მცხოვრებთა თხოვნა დამატებითი არჩევნების გადადების შესახებ.

✧ **ტრიფონ ჯაფარიძის საქმე.** 26 მკათათვეს, საგანგებო სასამართლო გაარჩევს ხაშურის საკომისროში მოკლულ ტრიფონ ჯაფარიძის საქმეს სასამართლოში მიცემულია ყოფილი სარაიონო კომისარი შალვა ჩანტლაძე.

✧ **პასპორტები საზღვარ გარედ მიმავალთათვის** ამდენ ხანს სტამბოლში და საერთოდ საზღვარ გარედ მიმავალთათვის ნებართვას იძლეოდა ინგლისის სარდლობა თბილისში. მაგრამ გამოირკვა, რომ ადგილობრივი პირობები დიდად ამძიმებდა ინგლისის სარდლობას, რის გამო მან მიმართა საქართველოს მთავრობას წინადადებით, რათა საქმის გაადვილებისათვის ჯერ მან მისცეს თავის მოქალაქეთ საზღვარ გარეთული პასპორტი და მხოლოდ ამის შემდეგ მისცემს ინგლისის სარდლობა თავის დასტურს ამა თუ იმ პირის წასვლის შესახებ საზღვარ გარედ. ამგვარად ჯერ აღებული უნდა იქნეს გარეშე საქმეთა სამინისტროდან პასპორტი და შემდეგ ეთხოვოს ინგლისელთა მისიას. შესაძლოა ამ დღეებში ეს ფუნქციები გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

✧ **ხატისოვის ჩამოსვლა.** გუშინ ჩქარი მატარებლით თბილისში ჩამოვიდა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. ხატისოვი.

✧ **მუსიკალურ საზ. „კაპელა“-ში.** 21 ივლისს შესდგა საქართველოს მუსიკალურ საზოგადოების ახლად არჩეულ გამგეობის სხდომა, რომელზედაც აირჩიეს პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით—ანდრონიკაშვილი (თავმჯდომარედ), ს. ჟორჟოლიანი და მოსულიშვილი (მდივნათ), კრებაზე გამოირკვა აგრედვე რომ „კაპელა“-ს მუსიკალური ნაწილი მუსიკალურ საზოგადოების ხელში იქნება, ხოლო ფინანსიური საქმეები კი კოოპერატივთა კავშირის ხელში.

✧ **კონცერტი.** ოთხშაბათს 23 ივლისს ქართულ კლუბში გაიმართება საინტერესო კონცერტი საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

✧ **თ. ღლონტის ლექციას.** პარასკევს 25 ივლისს ახალ-კლუბის საზაფხულო დარბაზში დამფუძნებელ კრების წევრი თ. ღლონტი წაიკითხავს ლექციას: „სომხების ცხოვრება სომხეთში“.

ეკონომიური ცხოვრება

✧ **სარწყავ არხების გაყვანისათვის.** „საგაბაშვილო თხინვალის“ მემამულეთა საინიციატივო ჯგუფმა დაადგინა ხსენებულ მამულების მოსარწყავად არხები გაიყვანოს. სათანადო გეგმა და ხარჯთ აღრიცხვა უკვე წარუდგინა მიწათ-მოქმედების სამინისტროს.

✧ **კურორტი ახტალა.** ახტალის სეზონი უკვე გაიხსნა. კურორტზე მოწყობილია საგანგებო სამკურნალოდ დაავადმყოფებულ სამხედრო პირებისათვის.

✧ **მინერალური წყლები მისაღებად** მიწათ-მოქმედების სამინისტრომ საგანგებო კომისია შეადგინა ლეჩხუმსვანეთის მინერალურ წყლების მისაღებათ.

სხ. და სხ. ამბები.

✧ **გვამის პოვნა.** 21 ივლისს არქიპოვის ქუჩაზე;იპოვნეს თოკით დამხრჩვალი ახალგაზრდა ქალის გვამი.

✧ **ქურდობა.** 20 ივლისს ნაშუადამევის 2 საათზე ქობულაშვილის ბინიდან (ამაღლების ქ. № 9) ბოროტგამზრახველებმა 66,00 მან. ამიერკავკასიის ბონები, 4,000 მან. ნიკოლოზის ფული და დიდძალი სხ. და ძვირფასი ნივთები. მოიპარეს.

✧ **მკვლელობა.** 20 ივლისს სურპ-სარქისოვის აღმართზე მუსა-ალი-აჯი-ოღლიმ თოფით მოჰკლა აივანზე მძინარე ნატია ქორქაშვილი. მიზეზი გამოურკვეველია.

✧ **ყაჩაღების დაჭერა თელავის მაზრაში.** შინაგან საქმეთა სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილებას თელავიდან ატყობინებენ, რომ იქ გაუნადგურებიათ ყაჩაღთა ბრბო, რომელიც დიდ ზიანს აყენებდა მშვიდობიან მცხოვრებლებს, დაუჭერიათ ბრბოს 3 მეთაური.

სამხატვრო ქრონიკა

ქართველ მხატვართა გამოფენა ქუთაისში გაიხსნა 17 მკათათვეს ს.-ფ. პარტიულ კლუბში. გამოფენის დათვალიერება ყოველდღე სწარმოებს დილის 10-დან 2 საათამდე და საღ. 7 9 საათამდე.

✧ **სამხედრო სამინისტროს საყარაულოს რაზმის კონცერტი** იმართება შაბათს; 28 მკათათვეს. კონცერტი შესდგება 4 განყოფილებად და წინ უძღვის იოსებ იმედაშვილის ლექცია „ჯარი და მუსიკა“.

კრებები.

საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში. ოთხშაბათს, 23 მკათათვეს საღამოს 7 საათზე საშუალო ტეხნიკურ სასწავლებელში (დიდი მთავრის ქ., № 70) საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების საზოგადო კრებაზე ინჟ. ვ. გუნცაძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ჩათახის თუჯსადნობი ქარხნის მდგომარეობა და რკინის მრეწველობის შექმნა საქართველოში“.

პროვინციის ცხოვრება

ქ. ქუთაისი.

გაზეთი „ჩვენი ქვეყანა“ მკათათვის 18-იდან კვლავ ოთხ გვერდზე გამოდის.

ს. მაღლაკი.

შავი სახადი. სოფელ მაღლაკში შავი სახადი მძვინვარებს. ჰირნახულს წრეულს ცუდი პირი უჩანს. ხშირი წვიმების გამო ვენახები წახდა. პურის ყანები გაფუჭდა.

ს. კაკაბეთი.

მოსავალი საშუალოა. ვენახებს კარგი პირი უჩანს.

— სათემო კომისარი ექვთიმიშვილი შეიპყრეს. მიზეზი გამოურკვეველია.

საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციის დადგენილება ამსტერდამში.

(26—28 აპრილი)

„ნორ აშხატივორ“-ში დაბეჭდილია ამსტერდამის საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციის დადგენილებანი, რომელნიც ეხება საქართველო სომხეთის ტერიტორიულ დავას.

IV დადგენილება სომხეთის შესახებ.

(მიღებულია ბერნის კონფერენციაზე და დამტკიცებულია ამსტერდამში)

კონფერენცია გამოსთქვამს თავის პატივისცემას ტანჯულ სომხის ხალხისადმი და გამოსთქვამს უკმაყოფილებას იმ დარბევისათვის რომელიც მას მიაყენეს.

კონფერენცია აქვეყნებს, რომ იგი სრულიად დათანხმდა სომხეთის მოთხოვნილებაზე, რომელიც მონობის უღლიდან განთავისუფლებას და დამოუკიდებელ თავისუფალ სახელმწიფოს დარსებას ეხება.

კონფერენციის აზრით, ხალხთა ფედერაციის მოვალეობაა თავის წევრად მიიღოს სომხეთი და აღმოუჩინოს მას საჭირო დახმარება მის სოციალურ, ეკონომიურ და ტერიტორიულ აღორძინებისათვის.

V დადგენილება შესახებ საქართველო—სომხეთის დელეგატთა შეთანხმებისა.

კონფერენცია სიამოვნებით აღნიშნავს რომ საქართველოს სოც. დემოკრატიულ პარტიისა და სომხეთა რევოლიუციურ პარტიის დელეგატთა შორის მოხდა შეთანხმება, რომ სადაო ტერიტორიის საკითხი გადაწყდეს სომხეთისა და საქართველოს შორის ისე როგორც ეს ჩამოყალიბებული იყო საერთოდ ტერიტორიულ საკითხის გადაწყვეტის დროს ბერნის კონფერენციის მიერ.

ამის შემდეგ „ნორ-აშხატავორს“ მოჰყავს ამონაწერები ამსტერდამის კონფერენციის აღმასრულებელ კომიტეტის 11, 12 და 13 მაისის კრებების დადგენილებებიდან.

მუხლი 6. კომიტეტმა მოისმინა სომხეთის და საქართველოს დელეგატების მოხსენებანი შესახებ სადაო ტერიტორიის ლორისა და ახალქალაქისა. ეს ტერიტორიები ეხლა საქართველოს ხელშია და სომხეთი მოითხოვს რომ ესენი მათ გადაეცეს. ამის გარშემო მათ შორის მოხდა ბრძოლაც. ორივე დელეგაცია დასთანხმდნენ მიიღონ შემდეგი დადგენილება:

ა) დავა უნდა გადასწყდეს რეფერენდუმით.

ბ) ამ რეფერენდუმს უნდა ხელმძღვანელობდეს სპეციალური კომისია, რომელიც მიიღებს აუცილებელ ზომებს, რომ რეფერენდუმზე გავლენა არ მოახდინოს გარეშე ძალამ.

გ) ამ რეფერენდუმის შედეგებს პატივისცემით უნდა მიეპყრას ორივე სახელმწიფო.

დ) ეს შეთანხმება უნდა ეცნობოს პარიზის ოფიციალურ კონფერენციას.

„ნორ-აშხატავორი“ კმაყოფილი დასძენს, „სამწუხაროდ სომხეთის დელეგატებმა ვერ შესძლეს კიდევ დეტალებში შეთანხმება, რადგან ეს, როგორც კონფერენციის კომიტეტმა განაცხადა, გაირჩევა ცალკე საგანგებო კომისიაში. ასე რომ სადაო საკითხები გადაიდო მომავალ კრებისათვის, რომელიც დანიშნულია ლიუცენში მარიამობისთვის პირველისათვის!“

სომხეთი

სომხეთის დიქტატორი.

გაზ. „სტამბულში“, რომელიც გამოდის სტამბოლში, მკათათვის 8-დან მიღებული დეპეშაა დაბეჭდილი, რომლითაც მჟღავნდება რომ ხუთთა საბჭოს გამორკვევით ამერიკულ ჯარების პოლკოვნიკი ვილიამ ჰასკელი დანიშნულია სომხეთის დიქტატურად. იგი დაუყონებლივ გაემგზავრება სომხეთში, კონფერენციის რწმუნებულის უფლება უკვე პოლკ. ჰასკელი პირველად ჩაებმება ეკონომიურ საკითხებში, შემდეგ პოლიტიკურ საკითხებსაც შეუდგება. მისი პირველი საქმე იქნება ოსმალეთის სომეხ-ლტოლვილთა სამშობლოში დაბრუნება.

(„აშხატ.“).

შიმშილი სომხეთში

დოკტორი გლასტერი ერევნიდან დაბრუნებულა პარიზში და თანახმად მისი მოხსენებისა, სომხეთის რესპუბლიკის სანიტარული მდგომარეობა საკმაო კეთილ მდგომარეობაში. ენერგიულ ზომების მიღებით შორეულ ოლქებში შიმშილი ისევ მძვინვარებს. გლასტერის აზრით შიმშილის მოსასპობად საუკეთესო ზომა იქნება 400.000 სომეხ ლტოლვილის დაბრუნება მშობლიურ კერაზე.

(„აშხატ.“).

სომხეთის მზრუნველობა

გაზ. „არევის“ სიტყვით, რომელიც გამოდის ეგვიპტეში, ამერიკულ სენატის წევრების ორი მესამედის სურვილი, რათა ამერიკამ იკისროს სრულიად სომხეთის მზრუნველობა, თითქმის უზრუნველყოფილია.

თურქულ დელეგაციის ნოტისთვის.

გაზ. „ჩაკატამარტის“ სიტყვით ათთა საბჭო მიიღებს ვენიზილოსსა და ნუბარ ფაშას, თურქულ დელეგაციის ნოტის გასარჩევად.

ანდრონიკა ლონდონში.

გაზ. „მორნინგ პოსტი“ იუწყებს, რომ ანდრონიკა ლონდონს ჩასულა. მას სომხის დელეგაცია დაუხვდა.

75 ამერიკულ ეპისკოპოსების დეპეშა ვილსონს სომხეთის სასარგებლოთ.

ნიუ-იორკის სომხურ პრესსის ბიურო იუწყება, რომ ამერიკული 75 ეპისკოპოსები დეპეშით სთხოვს პრეზიდენტ ვილსონს, რათა შეერთებულ შტატებმა მიიღონ მანდატი სომხეთის ხალხთა ლიგაში შესვლის შესახებ. დეპეშაში ნათქვამია, რომ სომხეთი დაიტანჯა ამ ომიანობაში მხოლოდ მისთვის რომ მას არ უღალატია ჩვენი სარწმუნოებისათვის ვილსონს უპასუხნია. „მე აღვიარებ თქვენ აზრს სომხეთის ბედის შესახებ“.

ბრძოლა ყაფანში.

ერევანი, 18 მკათათვისა.— ყაფანის თათრების უკანასკნელი ბრძოლა თავიანთ უფროსის ხელმძღვანელობით მოხდა კიზილ-თაფაში, აზრათა ჰქონდათ, რომ დაეჭირათ სოფლები: ყარაბაბან, აგარაკი, ღევარდი და აილონ ყათარის სპილენძის მადნები.

ბრძოლაში, როგორც გამოირკვა, მონაწილეობას იღებდნენ სივაზის, არზრუმის, ერზინჯანის ოლქების ოსმალო ასკერები. თავდასხმა დაიწყეს ტყვიის მფრქვეველებით, და არ მოუცადეს განჯის მძიმე ზარბაზნებს.

ოსმალების მოქმედება ზანგეზურში.

ოსჩინის ხეობაში, გერუსიდან 20—25 ვერსის სიშორეზე, ოსმალები დიდად ემზადებიან საბრძოლველად.

პარლამენტის არჩევნების შედეგები.

აღწერილ იყო სულ 365,780 სული, არჩევნებში მონაწილეობა მიუღია

ეროვნული ბიბლიოთეკა

258,880 სულს. დაშნაკცუტიუნმა მიიღო 230,272 ხმა. (88—95 პროც.) ექნება—71 წარმომადგენელი. სახალხო პარტიამ—481 ხმა (0—19 პროც.) ესერები—13,293 ხმა (5—12 პროც.) —4 წარმომადგენელი, ქურთები—1305 ხმა (0—5 პროც.), ასირიები—173 ხმა (0—07 პროც.), გუშთა კავშირი—4224 ხმა (1—63 პროც.) (2 წარმომადგენელი), თათრები—9187 ხმა (3—55 პროც.) (3 წარმომადგენელი).

ერევნის უნივერსიტეტი.

ერევანი, 19 მკათათვის. მთავრობამ დაადგინა ენკენისთვიდან ერევანში გახსნას ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტი. უნივერსიტეტის რექტორად დანიშნულია პროფ. ღამბაროვი. პროფესორებს მიეცემათ მინისტრების ჰონორარი დოცენტებს—მინისტრების თანაშემწისა ხოლო, პრივატ-დოცენტებს გამგეთა ჰონორარი. მოკლე ხანში განზრახულია საზღვარ-გარეთიდან მოიწვიონ მეცნიერები, რომელთაც გადიდებული ჰონორარები მიეცემათ.

სახალხო განათლების მინისტრისათვის გახსნილი 22,592,200 მანეთის კრედიტი. მთავრობის მიერ რექტორზე არის დაკისრებული უნივერსიტეტის მმართვა-გამგეობის დროებითი კანონების შემუშავება, და მუდმივი კანონპროექტის შემუშავება. უნივერსიტეტი ექვემდებარება განათლების მინისტრს. ლექციები წაკითხულ იქნება სომხურსა და უცხო ენებზე. მინისტრთა საბჭო ადასტურებს რექტორის, პროფესორების, დოცენტების და პრივატ-დოცენტების დანიშვნას.

უნივერსიტეტის საბჭოს, საერთო კრებების, ეკონომიურ კომისსიის, კანცელარიის ორგანიზაცია და მმართვა-გამგეობა რექტორს ეკისრება.

სტუდენტები იქნებიან საშუალო სკოლების სწავლის კურს დამთავრებულები.

აზერბაიჯანი

ინციდენტი ინგლისელთა და აზერბაიჯანელთა შორის.

თიბათვის 17-ს, ხუთშაბათს, საღამოს 6 საათზე, ბაქოს პოლიციამ ალყა შემოარტყა თუმანიანცის სახლს (მერკურიევის ქ.), აგრეთვე მთელი კვარტალი ქალაქის ჩხრეკის ნაყოფიერებისათვის ჯარს შემოკრული იყო. თუმანიანცის სახლში, როგორც პოლიციას ჰქონდა შეტყობილი, შენახული იყო მრავალი იარაღი.

გარემოცულ კვარტალიდან არავის არ უშვებენ. აგრეთვე არ გამოუშვეს დიდი ველიბრიტანეთის საზღვაო ტრანსპორტის მოსამსახურე და მის თოფი მოუღერეს.

ამ ამბის დროს ტრანსპორტის სამმართველოდან გამოვიდა საზღვაო კონტროლიორი პოლკოვნიკი ბრაუნი, რომელსაც ასკერებმა ისევე უბრძანეს „ადგილიდან არ დაძრულიყო“. პოლკ. ბრაუნის ყვირილზე გამოვარდნენ ინგლისელი ჯარის კაცები თოფებით და შეტაკება უექველად მოხდებოდა, რომ არ ჩარეულიყო ამ დროს წამოსწრებული აზერბაიჯანის ოფიცერი, რომელმაც დაუყვირა ასკერებს, რომ მათ ინგლისელ ოფიცერთან აქვთ საქმე.

პოლკ. ბრაუნმა წაართვა ერთ ასკერს თოფი და ქვაფენილზე გადაამტვრია.

ჩხრეკა აღარ მომხდარა, რადგან თუმანიანცმა განუცხადა სპარსეთის მისიას, რომ იგი როგორც სპარსეთის ქვეშევრდომი, არ უნდა გასჩხრიკონ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სპარსეთის მისიის ჩარევამ საქმე კარგად დაბოლოვა.

პოლიციის წასვლის შემდეგ ბაქოს „გრადონაჩალნიკმა“ ბოდიში მოიხადა პოლკ. ბრაუნის წინაშე. ბრაუნმა განაცხადა, რომ იგი თანახმაა, რომ მიიღოს ეს ბოდიში, როგორც ბრაუნმა, მაგრამ იგი ვერ აპატიებს ამ საქციელს როგორც ინგლისის პოლკოვნიკი, „ამ შემთხვევაში პოლიციას მოუხდება ბოდიში მოიხადოს ინგლისის სარდლობის წინაშე, რომელსაც მე ყველაფერი ვაცნობე კიდეც“, განაცხადა ბრაუნმა.

მინისტრთა თავმჯდომარე გენ. კორისთან.

აზერბაიჯანის მინისტრთა თავმჯდომარემ ნ. უსუფბეკოვმა ინახულა გენ. კორი და ორი საათის განმავლობაში ესაუბრა ყოველგვარ კითხვებზე. გენ. კორი დაჰპირდა, რომ დაუყოვნებლივ მიიღებს ზომებს ყედიმასარის მხარეს სომეხ-თათართა შორის სამარ მოქმედების შესაწყვეტად. შემდეგ გენ. კორი დაჰპირდა შუამდგომლობას თავის მთავრობის წინაშე, რომ დემოკრატიული ხაზი ჩრდილო-კავკასიაში განხორციელებულ იქნება.

თავის მხრივ გენ. კორიმ სთხოვა აზერბაიჯანის მინისტრთა თავმჯდომარეს, რომ მან იქონიოს გავლენა დაღესტანზე, რათა მან მეტად თავშეკავებით იმოქმედოს.

ყარაბაღის სომხებთან მოლაპარაკება.

შუშის, ჯებრაილის და ჯევანშირის მაზრების სომეხთა მე-6 ყრილობის დელეგატები ჩამოვიდნენ ბაქოში მთავრობასთან მოსალაპარაკებლად საქმის მშვიდობიანად დასრულების შესახებ. მთავრობის წრეებში ყარაბაღის საკითხს დიდის ყურადღებით ეპყრობიან

აზერბაიჯანის დიპლ. წარმომადგენელი ოსმალეთში

ყოფილი დიპლომატიური წარმომადგენელი უკრაინაში მ. ვეზიროვი დაინიშნა აზერბაიჯანის დიპლომატიურ მისიის უფროსად ოსმალეთში.

საფრანგეთის ელჩის გამგზავრება

საფრანგეთის ელჩი ბ. გაუე ჩქარა ბაქოს დასტოვებს, მას უკეთეს ადგილზე ნიშნავენ.

შემახის მაზრის პარლამენტის წევრი

პარლამენტის წევრად შემახის მაზრიდან არჩეულია ასეფ-ბეი შიხალიბეგოვი. შიხალიბეგოვი „მუსავატის“ პარტიას ეკუთვნის.

ბაქოს ბონები

პეტროვსკის აზერბაიჯანის სააგენტო იუწყება, რომ იქ აკრძალეს ბაქოს ბონების მიღება. ბონებს არ იღებენ ინგლისელებისაგანაც. ამ დღეებში მოხდა პატარა ინციდენტი ინგლისელებთან, რომელთაც შეიძინეს დიდი ძალი საქონელი და იხდიდენ ფასს ბაქოს ბონებით. ინგლისელები პროტესტს აცხადებდნენ და ამბობდნენ, რომ აზერბაიჯანი თვით მოვა და ამ ბონებს მიგაღებინებთო

„მსახიობის დღე“

მკათათვის 18-ს ბაქოში გაიმართა „მსახიობის დღე“.

უსუფბეგოვის კაბინეთი

საზოგადო წრეებში ხმებია გავრცელებული რომ უსუფბეგოვის კაბინეთი რყევას განიცდისო. ამის შესახებ „ბაკინსკოე სლოვო“ იუწყება რომ პარლამენტის მემარჯვენე ჯგუფებმა მართლაც სცადეს მთავრობის კრიზისს შექმნაო, მაგრამ დიდმა უმრავლესობამ ეს ნაბიჯი დაგმო და დღეს უსუფბეგოვას კაბინეთი სრულებით არავითარ საფრთხის წინაშე არა სდგას.

ჯავახელთა გაჭირვება

სოფელ გოგაშნის მცხოვრებთა დადგენილება:

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი, გთხოვთ მოგვექციოთ ყურადღება, დაგვეხმაროთ დაგვიხსნათ ამ აუტანელ მდგომარეობიდან. თუ ჩვენ მოკლე ხანში არა გვიშველა-რა, დაღუპვისა და უფსკრულში მივდივართ. პირველად მოგახსენებთ, რომ ჩვენს პირველს აქ ჩამოსვლას და დასახლებას ჩვენს გავერანებულ სოფელში, ერთი კვირის შემდეგ (იანვარში) დაგვეცნენ ახლო-მახლო სოფლებიდან თათრები და ერთიან გაგვძარცვეს. წაიღეს ჩვენგან ფული, ტანსაცმელი, წაასხეს საქონელი და ჩვენი ავლა-დიდება. უბედური ავადმყოფები გადმოყარეს ლოგინიდან მიწაზე და წაიღეს ლოგინი და ტანისამოსი. არ გვაბადია არც ურმები, არც მიწის სამუშაო იარაღი. სულ ყველაფერი ეს ჩვენ ვიპოვეთ თათრის სოფლებში: აზმანაში, ოკამში, მირაშხანში, გარტაში და სხ.

როდესაც ჩვენ მოვითხოვეთ ჩვენი საქონელი და ნივთები, მოგვცეს კი არა და პირიქით გვემუქრებიან და გვაგდებენ. რაღა ვქნათ ჩვენ როცა ჩვენი საქონელი ვიცანით, თვალ-წინ არის და არ გვაძლევენ, მივმართეთ ჩვენს აქაურ კომისრებს—ისინი გვეუბნებიან: „მოიცადეთო, ჯერ არ არის გამორკვეული ვის დარჩება ეს მაზრაო“. მაგრამ თუ ჩვენ ამ ზაფხულს არაფერი არ გვეშველა, დავკრამთ ფეხსა და ისევ მაინთ წამოვალთ, რადგან ზამთარში ჩვენი აქ ცხოვრება, აუტანელი იქნება, ყველანი გავწყდებით. ცარიელი გადმოსახლება რა არის თუ კი შველა არ გვექნება. არ გვაძლევენ არც პურსა თავის დროზე, არც ყანები გვაქვს დათესილი. მარტო ზოგს ვაიგაგლახით თუ ნაშოვნი ჰქონდა ქერი და პური, დათესა ერთი ან ორი ნაჰერი. არ ვიცით რა გვეშველება. ან სულ გაგვწყვიტეთ, ან თუ არა და დაგვაყენეთ ფეხზე და მოგვეცით სარჩო-საბადებელი, თუ არა და არ გვინდა ჩვენ ამისთანა ცხოვრება. თუ კი არ გვიშველით და არც გვეხმარებით. სახლკარი დანგრეული გვაქვს. მოგვეშველეთ სანამ დროა და ზაფხულია, თორემ მოვა ზამთარი და ყველანი გავწყდებით. გარშემო თათრები გვარტყიან და თუ თქვენ აქ გვერ გაგვამაგრეთ და ვერ გვიშველით, თქვენც არ გექნებათ მაგარი საზღვარი. თათრები გვემუქრებიან და გვიმტერებიან. სოფლიდან სოფელში ვერ დავდივართ. შიშია საშინელი. არის შემთხვევა, რომ ზოგჯერ წუთისოფელსაც კი აშორებენ კაცსა. გატყობინებთ კიდევ რომ, გვიშველეთ, ხელი მოგვაწოდეთ თქვენს მოძმეებს ჯავახელებს, თუ არა და დავიღუპებით კიდეც ყველანი.

ხელს ვაწერთ: ბაგრატ ნათენაძე, გიორგი ნათენაძე, ლევან ნათენაძე, ალექსანდრე ნათენაძე, გიორგი ბერიძე, არჩილ გობაძე, ევგენი ხოსიტაშვილი, ვასილ ნათენაძე, სერგო ლაზიძე, ივანე ტაქტაკიძე, პორფილე ხუციშვილი, ზაქარი ნათენაძე, გიორგი პეტრიაშვილი, ლაზარ ხოსიტაშვილი, ლევან ბერიძე, ივანე ხოსიტაშვილი, ვასილი ლაზიძე, შიო ნათენაძე, ლუარსაბ გობაძე, ისიდორე ნათენაძე, ივანე ხუციშვილი, ნიკო ნათენაძე, ისიდორე ხოსიტაშვილი, სამსონ კოჟორიძე. ევგენი ხუციშვილი (სულ 26 კაცი)

ევროპის სოციალისტები და ბოლშევიზმი

სოციალისტთა კონგრესზე პარიზში ბრანტინგმა წარმოსთქვა ბოლშევიზმის საწინააღმდეგო სიტყვა.

სხვათა შორის მან სთქვა:

— ბოლშევიკების მფლობელობით ყოველ გვარი წარმოება სწყდება. იწყება სრული ეკონომიური გახრწნა, რასაც მოსდევს მისი ჩვეული საშინელი შედეგები. ბოლშევიზმი არ არის არც სოციალიზმის გაკოტრება და არც მისი ტრიუმფალური დღესასწაული. ბოლშევიზმი უბრალოდ უარ ჰყოფს სოციალისტურ იდეებს. პროლეტარიატის დიქტატურა სოციალიზმის მხოლოდ კარრიკატურაა, რადგან სოციალიზმი მხოლოდ დემოკრატიაზე უნდა დაეყრდნოს და არა რომელიმე კლასზე.“

ბრანტინგმა განაცხადა, რომ ინტერნაციონალის იდეია ცუდ მდგომარეობაშია ჩავარდნილი ლენინის გამო და იმედი გამოსთქვა, რომ ფრანგი მუშები რუსის მუშებს არ გაჰყვებიან.

საზავო ხელშეკრულების საბოლოვო ტექსტი

როგორც სტამბოლის გაზეთი „Le spectateur d'Orient“ იუწყება, მოკავშირეთა მიერ წარდგენილი და გერმანელების მიერ თიბათვის 15-ს ხელ მოწერილ საზავო ხელშეკრულებაში შემდეგი პირობათა შემამსუბუქელი მუხლებია შეტანილი:

1) ახლო მომავალში გერმანია უნდა ჩარიცხულ იქმნას ხალხთა ლიგის წევრად. 2) უნდა მოხდეს პლებისციტი ზემო სილეზიის ბედის გამოსარკვევად, დარჩება იგი გერმანიას თუ გადავა პოლონეთის ხელში. 3) გერმანიის ჯარი 3 თვის განმავლობაში უნდა შესდგებოდეს 300 ათას კაცისაგან, რომელიც თანდათანობით შემცირდება 100 ათასამდე. 4) პოლონეთის საზღვრებზე სადაო ქალაქი დანციგი, თავისუფალ ქალაქად გამოცხადდება. 5) ზარალის ამნაზღაურებელ კომისიას აღმასრულებელი უფლება არ ენიჭება; მან ისევე უნდა დაიცვას გერმანიის ინტერესები, როგორც მოკავშირე სახელმწიფოთა ხალხის ინტერესი. 6) გერმანიას უფლება აქვს, რომ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ ოთხი თვის განმავლობაში შეიტანოს წინადადება ისეთი ზომების შესახებ, რომელსაც ის აუცილებლად სთვლის ვალის გადახდის კარგად მოგვარებას.

მოკავშირეებმა არ შეამსუბუქეს ხელშეკრულების ის პირობები, რომელიც ელზას-ლორენსა, საარის ხეობას, გერმანულ ახალშენებს, გერმანიის საზღვაო ძალთა შეზღუდვას და ექს-კაიზერის სასამართლოში მიცემას ეხება.

დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

ივლისის 22-ს

გერმანული პრესა.

კაიზერის მდგომარეობა.

„კელნის გაზეთი“ იუწყება, რომ კაიზერი, ეს რამდენიმე თვეა, რაც დაღონებულია. ექიმების სიტყვით მის ჯანსაღობას დიდი საფრთხე მოელის. დიდი ხანია, რაც ის სახლიდან არ გამოდის და სხვებთან ლაპარაკს გაურბის, ხელოვნება და მეცნიერება მას აღარ აინტერესებს, რელიგიურად არის განწყობილი და ნერვები აწუხებს.

გერმანიის რწმუნებული საფრანგეთში.

ფრანგული ცნობების მიხედვით ბარონ ფონ-ლესნერი გერმანიის რწმუნებულად დაინიშნა საფრანგეთის მთავრობასთან. ოფიციალური ცნობები ამის შესახებ ჯერ არ მოსულა.

გერმანელ-პოლონელთა ბრძოლა.

გერმანელთა და პოლონელების შორის ბრძოლა გრძელდება. პოლონელთა საყარაულო რაზმები სადემარკაციო ხაზს ესხმიან. პოლონელები ყოველ დღე აყენებენ უსიამოვნობას გერმანიელ მცხოვრებლებს.

შვეიცარიის სოც. დემოკრატები და საერთო გაფიცვები

შვეიცარიის სოც.-დემოკრატებმა გადაწყვიტეს ივლ. 20-21 თვის დანიშნული გაფიცვა გადასდონ და მხოლოდ თანაგრძნობა გამოუცხადონ (?)

ვენის მთავრობამ განკარგულება გასცა, რომ ივლისის 21-ის დღე ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში იუქმონ.

იტალიელები და გაფიცვა.

იტალიის რკინის-გზელთა ცენტრალურმა საბჭომ გადასწყვიტა საყოველთაო გაფიცვაში ადგილობრივ საბჭოთა მონაწილეობის საკითხი.

„ავანტი“ იუწყება რომ ზემოხსენებული საბჭო გადადგა, ახლათ არჩეულმა საბჭომ გაფიცვას მხარი დაუჭირა. ამის შესახებ სწორი ცნობები ჯერ არ არის.

შვეიცარიის გერმანელთა სამშობლოში დაბრუნება.

გადაწყვეტილებისამებრ, შვეიცარიის მიწა წყალზე დასახლებულ გერმანელთა სამშობლოში დაბრუნება ივლისის 21 დაიწყება.

საზავო პირობათა დარღვევა.

გერმანიის მთავრობამ ცნობა მიიღო, რომ დაუპატიმრებიათ ახენის სამხედრო-სატეხნიკო სასწავლებლის პროფესორი კვაზებარტი, ომის დროს ჩადენილ მოქმედებისთვის. თუ ეს მართლა მოხდა, იგი ეწინააღმდეგება დროებითი ზავის § 6. გერმანიის წარმომადგენლები დიუსელდორფში მოკავშირეებს განმარტებას მოსთხოვენ და პროტესტს განუცხადებენ, თუ კვაზებარტი მართლა დაპატიმრებულია.

მანტჰეიმის მკვლელობის საქმე.

სერჟანტ-მანტჰეიმის მკვლელობის მოწმეებმა ასეთი ჩვენება მისცეს. მანჰეიმი და მისი ამხანაგი „კაიზეროჯაფე“-ში, ფრიდრიხ შტრასეზე, თავხედურად იქცეოდენ.

ბერლინის პრესა ინგლისელ ჯარისკაცის მკვლელობის გამო.

ბერლინის გაზეთები პროტესტს აცხადებენ იმის გამო, რომ მოკავშირენი ცდილობენ მკვლელობას პოლიტიკური ხასიათი მისცენ და ეროვნულ შურისძიებად ახსნან იგი. მრავალ თვის განმავლობაში საფრანგეთის სამხედრო და დიპლომატიურ მისიის წევრნი თავისუფლად გამოდიოდნენ ბერლინის ქუჩებზე, მაშინაც კი, როდესაც ხალხი ძალიან აღელვებული იყო, საზავო პირობათა გამოქვეყნების დროს და მათთვის არავის მეურაცხყოფა არ მიუყენებია. მანჰეიმის მკვლელობის და მისი ამხანაგის საქციელი პროვოკაციის შედეგია. გაზეთები მოითხოვენ, რომ ეს საქმე ჯერ გერმანიის სასამართლომ განიხილოს და შემდეგ — საერთაშორისო სასამართლოში. პარასკევს მოხდა მანჰეიმის დასაფლავება, რომელსაც საფრანგეთის მისიისაგან 1 გენერალი, რამდენიმე აფიცერი, ჯარისკაცი და სხვა სამხედრო მისიათა წარმომადგენლები დაესწრნენ.

მოკავშირენი რეინის მარცხენა ნაპირის შეერთებაზე

მოკავშირეთა უმაღლეს საბჭოს სხდომაზე პარიზში, დეპუტატმა ფრანკლინ ბილიონმა ნებართვა ითხოვა, რომ გადაიდოს ფოშის მიერ ოთხთა საბჭოსთვის იმ მოხსენების წარდგენა, რომელიც მოითხოვს, რომ რეინის მთელი მარცხენა მხარე საფრანგეთს შეუერთდეს. ამ საბუთის გამოქვეყნება აღკრძალული იყო. ბულიონი ამ მოხსენების გამოქვეყნებით იმუქრება.

ფოშის ახალი მინდობილება

პარიზის გაზეთები იუწყებიან, რომ საფრანგეთის მთავრობამ ფელდმარშალ ფოშს დაავალა პირდაპირ მოელაპარაკოს გერმანიის მთავრობას სერჟანტ მანჰეიმის მკვლელობის შესახებ. „დოიტშე ალგემაინე ცაიტუნგ“-ი შენიშნავს, რომ, თუ ეს გამართლდა, გერმანიის მთავრობა ამის გამო პროტესტს განაცხადებს, ჩვენ უკვე ვამბობდით, რომ საზავო ხელშეკრულების დადასტურების შემდეგ შეუძლებელია არსებობდეს სხვა რაიმე ურთიერთობა, გარდა დიპლომატიურისა ამ ორ სახელმწიფოს შორის. ასეთი იყო გერმანიის მთავრობის შეხედულება მანჰეიმის საქმის დაწყებისში, როდესაც მან მიმართა ესპანიის ელჩს, როგორც საფრანგეთის ინტერესების წარმომადგენელს. საზავო ხელშეკრულების თანახმად, საოკუპაციო ჯარის მთავარსარდალი მხოლოდ სამხედრო ძალა-უფლების გამომხატველია და არავითარ შემთხვევაში არ შეუძლიან დიპლომატიური წარმომადგენლობა. თუ ზემომოყვანილი ხმები გამართლდა, ეს იქნება იმ დამოკიდებულების გაგრძელება, რომელსაც საფრანგეთი იჩენდა გერმანიისადმი დროებითი ზავის განმავლობაში. ყოველშემთხვევაში, საფრანგეთის მთავრობა უარს არ იტყვის იმის აღიარებაზე, რომ ზავის შეკვრის შემდეგ საერთო ინტერესები აღმოცენებულ საკითხების სხვა გზით გადაჭრა მოითხოვს“.

ინგლისური პრესა

ავსტრიელთა ხელშეკრულება.

ივლისის 21. მდივანმა დიუშოსტმა ავსტრიელებს სულ უბრალო პირობებში ხელშეკრულების უკანასკნელი ნაწილი გადასცა; ავსტრიელებს 15 დღის ვადა მისცეს მის განსახილველად. ჰფიქრობენ, რომ მოლაპარაკება მალე დამთავრდება და აღნიშნულ ვადაზე მას ხელს მოაწერენ. ავსტრია ვედენბურგის ოლქს (?) მიიღებს ჩეხო-სლოვაკები—ხიდისთვის სიმაგრეებს. პრესბურგის მეზობლად, მაშინ, როდესაც, ავსტრია მეზობლად ტერიტორიას მიიღებს. ამერიკელების მიერ გამოქვეყნებულ ოქმებში რა არის მოხსენებული ასეთი ტერიტორიალური ცვლილებანი არის საბუთები იმის საფიქრებლად, რომ ქ. პეშტის ანექსია ბელაკუნთან შეტაკებას გამოიწვევს, თუ მოკავშირენი შეიარაღებული ძალით არ მოსპობენ მის მთავრობას. ავსტრია თავისი 30,000 ჯარით, რომლის ყოლის უფლებაც მას საზავო ხელშეკრულობით ენიჭება, მარტო ვერ შეებრძოლება ჰუნგრეთის უბრალო ჯარს, ამ ტერიტორიის დაპყრობის დროს და იძულებული გახდება სამხედრო დახმარება სთხოვოს მოკავშირეებს.

დვინსკი, ივლის. 14. რიგის სამოქალაქო გუბერნატორად მოკავშირეთა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წარმომადგენელი ინგლისელი პალინი დაინიშნა

დვინსკი, ივლის. 14. მოკავშირების წინადადება, რომ ლატვიაში კომპრომისული კაბინეტი შედგეს, რომელშიც შედის 6 ლატიში და 3 გერმანელი, შოვინისტურად განწყობილ ლატიშებისა და ესტონელებში უთანხმოებას იწვევს.

დვინსკი, ივლის. 14. „დეილი მეილი“ სწერს, რომ გენერ. იუდენიჩს საკმარისი სურსათი, სამხედრო მასალა, მედიკამენტი და ჯარისკაცების მისაცემი ფული არ აქვს: „მანჩესტერ გარდიენი“ არხანგელსკის ფრონტის შესახებ სწერს: რომ ინგლისელებმა მთელი ბრძოლის სიმძიმე თავის ზურგზე გადაიტანეს. რუსის რაზმებმა შეტევის, სიმძიმე თავის თავზე უნდა იკისრონ.

ლიონი, ივლისის 19. მოკავშირეების უმაღ. საბჭო იხილავდა გერმანიაში მყოფ რუსის ტყვეების სამშობლოში დაბრუნების საკითხს, ტყვეები დროებითი ზავის შეკვრის შემდეგ მოკავშირეების ხარჯით ინახებოდნენ. მომავალში ხარჯის გაღება მოკავშირეებს ზედმეტათ მიაჩნიათ, მაგრამ მათი სამშობლოში დაბრუნება კი მოასწავებს წითელი ჯარის გაძლიერებას, რადგან ისინი ბოლშევიკურ იდეებით არიან გამსჭვალული. გადასწყდა ამ საკითხის შესახებ სამხედრო სპეციალისტებს შეეკითხნენ. პოლონეთის მთავრობამ რუსეთის სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნების წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა, რადგან ტყვეების დაბრუნება წითელ ჯარს გააძლიერებს.

ლიონი, ივლისის 19. ამერიკის ჯარი, გარდა რამდენიმე საინჟენერო ნაწილისა, არხანგელსკიდან გაიწვიეს.

ლიონი, ივლისის 19. ვილსონის პასუხის მიღებამდე მოკავშირეთა უმაღლესი საბჭო არავითარ ზომებს არ იღებს რუსეთში მიმავალ ტვირთების საკითხების შესახებ

სამარა, ივლისის 16. გაზეთების ცნობით ციმბირში საშინელი სპეკულიაცია ერთი გაზეთი სწერს, რომ რუსეთს თავისუფალი ვაჭრობა ანადგურებს, რადგან რუსეთში შექმნილი პირობები თავისუფალ ვაჭრობა სპეკულიაციად და ექსპლოტაციად აქცევს.

უცხოეთის ამბები

ჟურნალ გაზეთებიდან.

მცირე აზიის დაჭერის შესახებ

ამ დღეებში შესდგა კონფერენციის სხდომა, რომელზედაც ირჩევოდა მცირე აზიის დაჭერის საკითხი.

(ფრ. ცნობა).

ქ. ახალ-სენაკი.

11 მკათათვეს მოხდა ახლად არჩეული ქალაქის საბჭოს სხდომა. გამოცხადდა 16 ხმოსანი. კრებას ხსნის პ. ლორთქიფანიძე. ის კითხულობს ქალაქის საბჭოს ხმოსანთა სიას. ქალაქის საბჭოს შემადგენლობა პარტიათა შორის შემდეგ ნაირია: სოც.-დემოკრ. 9 კაცი, სოც.-ფედ. 2 კაცი, სოც.-რევ. 3 კაცი და ეროვ.-დემ. 6 კაცი.

ამის შემდეგ ლორთქიფანიძე ამბობს ვრცელ სიტყვას. მან თავის სიტყვაში დაახასიათა სენაკი დღიდან მის ქალაქად გამოცხადებისა და გააცნო ხმოსნებს წარსული მოქმედება ქალაქის თვითმართველობისა. მან სთქვა, რომ 1917 წელსა სენაკი რევოლიუციური გზით გამოცხადდა ქალაქად. პირველი ქალაქის საბჭო არჩეული იყო პარტიათა შორის შეთანხმებით (მაშინ ცალკე სიით პარტიები არ გამოსულან). მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა ქალაქის საბჭოს მუშაობა. შინაური ანარქია და საგარეო საქმეები, მასთან თითქმის ქალაქს არაფერი საკუთარი აღარ ქონდა, თვით სადგომიც კი, მაგრამ ყველაფრის გადალახვა მან შესძლო და გააკეთა ის, რის გაკეთებაც შეეძლო ამ ორი წლის განმავლობაში. თუ ქალაქს არ ქონდა ორი წლის უკან ერთი მაგიდის და ორი სკამის მეტი, სამაგიეროთ დღეს მისი ქონება არის ათი და ასი ათასობით.

დღეს ქალაქს აქვს საკუთარი აფთექა. ქალაქის დახმარებით აგრეთვე გახსნა სამაზრო ერობამ საავადმყოფო.

მისი შემოქმედება გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არ შეეშალათ ათასნაირი კომიტეტებს ხელი, რომელთან მართალ ვსთქვა დიდი ბრძოლა გვიჭირდებოდა რომ რამე გაგვეკეთებინა. აგრეთვე ჩვენ გვიხდებოდა ბრძოლა სხვა და სხვა ნაირ ეპიდემიებთან, რომლებმაც მოინდომეს აუარებელი ხარჯი. მეტად მწვავე საკითხი იყო პურის საკითხი. ამის გარშემო დიდი ალიაქოთი იყო და პრეტენზიები ქალაქის თვითმართველობის წინააღმდეგ.

ჩვენ, რომ ქალაქის ხარჯი დაგვეფარა და რაიმე მოგებაც გვენახა, ამიტომ პურს, რომელიც გვქონდა ცოტა იაფ ფასებში ნაყიდი, ავწიეთ ფასი. ამან კი მემარჯვენეთა წრეში (ეროვ. დემ.) გამოიწვია უკმაყოფილება და ამის წინააღმდეგ ხდებოდა მითქმა-მოთქმა და თვით კრებებიც. აგრეთვე ნავთის საკითხი. ჩვენ ამ საკითხის და აგრეთვე ქალაქის სხვა და სხვა საქმისთვის თბილისში ვიყავით წასული. აქ ჩვენ ვერაფერი ვერ გავაკეთეთ. ბოლოს ვნახეთ იქ გიორგი ქავთარაძე და მასთან დავდეთ ხელშეკრულება, მას ეძლეოდა უფლება ქ. სენაკის სახელზე ნავთის ყიდვის და ჩამოტანის. მან ეს პირობა შეასრულა და ჩამოიტანა სენაკში ნავთი და მან დაიწყო ნავთის გაყიდვა. ამის გარშემო ატყდა დიდი აურზაური. (ნავთი როგორც ქონდათ გამონანგარიშებული სენაკში დაჯდა გირვანქა 120 კაპ. თუ 140 კ. ბაზარში კი იყიდებოდა 750 კ. ამის წინააღმდეგ ეროვ.-დემოკრ. წარმომადგენლებმა განაცხადეს პროტესტი და მოსთხოვა ქალაქის თვითმართველობას შეწყვეტილიყო გაყიდვა ნავთის. რამოდენიმე დღით შესწყვიტეს გაყიდვა, რომლის შემდეგ ნაკლებ ფასებში გაიყიდა) მაგრამ მე ვფიქრობდი და იმედი მქონდა, სიმართლე მაინც სიმართლეთ დარჩებოდა. დარწმუნდებოდენ ყველა ვინც კი გვიწყრებოდა, როდესაც ისინი თვითონ დაუახლოვდებოდენ ქალაქის საქმეებს და თავიანთ შეცდომებს თვითონ შეიგნებდენ.

ასეთი იყო ქალაქის თვითმართველობის მუშაობა და ახლა კი ნება მიბოძეთ ახალი ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამომარჩევით და მერე ჩვენი თავი დაშლილათ გამოვაცხადო.

საბჭოს თავმჯდომარეს არჩევამდე მდივანი კითხულობს ალთქმის ფურცელს და ხმოსნები აწერენ მერე ხელს.

ქალ. თავი. გთხოვთ დაასახელოთ ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე.

ლუკა დავითაია (სოც.-დემ.) ჩემი ფრაქციის სახელით ვასახელებ საბჭოს თავმჯდომარეთ ერობის თავმჯდომარე ისიდორე მალანიას და მის ამხანაგად გიორგი ჯაკობიას.

არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატებმა თავი შეიკავეს. კენჭის ყრის შემდეგ მალანიამ მიიღო 11 ხმა და მისმა ამხანაგმა ჯაკობიამ 10 ხმა.

მალანია იკავებს თავის ადგილს და ამბობს სიტყვას.

დღიური წეს-რიგში არის 1) ქალაქის გამგეობის ჯამაგირი, 2) ქალაქის გამგეობის არჩევნები, 3) მიმღები კომისიის არჩევა და 4) ფრონტის დღისთვის კომისიის არჩევა.

კამათი გამოიწვია პირველი ორი საკითხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერ.-დემ. მ. ღვამიჩავა ამბობს, რომ ჩვენ აქ როდესაც მოვედით, ვიცოდით მხოლოდ იქნებოდა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარის არჩევა, ახლა კი სხვას ვხედავთ. ჩვენი ფრაქციის სახელით, მოვითხოვ, რომ არჩევნები ქალაქის თავისა და მისი ამხანაგებისა გადაიდოს. ჩვენ ჯერ უნდა გავიგოთ, ბიუჯეტი ქალაქისა და მერე მოგვეცეს საშუალება რომ ჯამაგირი დაუნიშნოთ მათ.

ლ. დავითაია (ს.-დ.). ქალაქის გამგეობის არჩევის გადადება დიდ ზიანს მიაყენებს ქალაქს, ვინაიდან ბევრი საქმეებია გასაკეთებელი და ერთი წუთი ფასად ღირს, ჩვენი ფრაქციის სახელით მოვითხოვ, რომ დღესვე იქმნეს არჩეული ქალაქის თავი და მისი ამხანაგი, ხესაძე წევრის არჩევა კი გადაიდვას შემდეგისთვის.

პეტ. ქავთარაძე (სოც. რევ.) ჩვენ ვემხრობით ლუკა დავითაიას წინადადებას. მ. ღვამიჩავა (ერ. დემ.) თუ ქალაქის გამგეობას ავირჩევთ, მაშინ ის უნდა ავირჩიოთ მთლად და არა ნახევრად. ქალაქის საქმეებს ვერ მოაგვარებს მარტო ორი კაცი და აუცილებლად საჭიროა ორთან ერთად მესამეც. პეტრე დგებუაძე (ერ. დემ.) ბატონებო, ჩვენ ერთ წუთსაც ვერ დავეთანხმებით მოწინააღმდეგეებს, რომ ქალაქის გამგეობა შესდგებოდეს მხოლოდ ორი კაცისაგან. აი მაგალითად, როდესაც შიდის ქალაქის თავი თუ მისი ამხანაგი ან თბილისში ან და სხვაგან ქალაქის საქმისთვის, მაშინ ის იქ რჩება 15 ან 20 დღეს, ვინაიდან მეტად ვერ მოაგვარებს საქმეს, და მაშინ აქ კი დარჩება ერთი კაცი და მას ვერ ძალუძს საქმის გაკეთება. თუ თქვენ გინდათ საქმე გაკეთდეს მესამეც ავირჩიოთ.

კენჭის ყრის შემდეგ გავიდა 12 ხმით წინააღმდეგ საქმისა ქალაქის გამგეობის არჩევა და მესამე კანდიდატის არჩევის გადადება.

ბ. ხარბედია (სოც. რევ.) ქალაქის თავს დაენიშნოს ჯამაგირი 2000 მან. და მის ამხანაგს 1800 მან.

ამის მომხრე ყველა ხმოსნები არიან ლ. დავითაია (სოც. დემ.) ჩვენი ფრაქციის სახელით ქალაქის თავად ვასახელებ გრ. ხოფერიას და მისი ამხანაგად ლავრენტი გეგენავას.

არჩევნებში ეროვნულ დემოკრატები ღებულობენ მონაწილეობას. კენჭის ყრის შემდეგ ხოფერიამ მიიღო 11 ხმა და გეგენავამ 10. ამ რიგად ქალაქის თავად აირჩიეს გ. ხოფერია და მის ამხ. ლ გეგენავა. მიმღები კომისიაში აირჩიეს 1 პეტრე დგებუაძე 2 ღ. დავითაია 3 კობახიძე 4 ჯაკობია.

ფრონტის დღის კომისიაში აირჩიეს პეტ. ქავთარაძე ჯ. ღვამიჩავა და პეტრე დგებუაძე.

სხდომა გათავდა 12 საათზე.

მარტოშია.

ქ. ოზურგეთი.

13 მკათათვეს მოჰხდა ზვანის მე-III თემის კრება, სადაც წინასწარ კომისიის შემუშავებული და კრების მიერ თითების აწევით დადასტურებულ იქმნა ორი უცნაური გარდაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე: ქურდობის და სამედიატორო სასამართლოს შესახებ. პირველ საკითხზე კრებამ დაადგინა: თუ თემში მოჰხდება ქურდობა, პასუხი უნდა აგონ ძველად შემჩნეულ პირებმა ქურდობაში. მეორე გადაწყვეტილებით კრებამ სავალდებულო გახადა სამედიატორო სამართალი ყველასათვის. მკითხველი ნათლად ჰხედავს, რომ პირველი გადაწყვეტილება არა თუ სპობს ქურდობას, ააძლიერებს კიდეც და უდანაშაულოდ სტოვებს ქურდებს.

ხალხს ესპობა საშუალება მონახონ ქურდები, რადგან ასეთ საშუალებაზე არაა ლაპარაკი რეზოლიუციაში. იქ აშკარათაა თქმული, რომ თუ ქურდობა მოჰხდა დაისჯებიან ძველად შემჩნეული პირნი და მეორე მხრივ ეს უხსნის გზას ახალ ქურდების გაჩენას, რადგან მათ მაგიერ სხვები აგებენ პასუხს. ასეთი დადგენილება ვერც ძველად შემჩნეულ პირებს გამოასწორებს: მათ ბევრი საბუთი ეძლევათ ხელში თავის გამართლებისა თუ მოჰხდება ახალი ქურდობა. მეორე საკითხის გადაწყვეტის დროს მხედველობაში არ იყო მიღებული, როგორც სამოქალ. ისე ს. ს საქმეების განსხვავება. და კომისია ერთნაირ კანონების გამომცემელ დაწესებულებად გადაიქცა. სამედიატორო სამართალი, როგორც ვიცით არის მხარეების თანხმობაზედ დამოკიდებული, რომელსაც კომისიის წევრების დადგენილებით მოკლებული ჰხდება. ეს დადგენილება აშენებულია პიროვნების შეზღუდვაზე და ძალმომრეობაზე: მოქალაქეს არ ძალუძს უარი განაცხადოს მედიატორის არჩევაზედ, პირობაზე ხელის მოწერაზე, მედიატორების გადაწყვეტილებაზე და საქმე გადაიტანოს შემდეგ ინსტანციებში და ამითი გამოარკვიონ შეცდომანი ერთის თუ მეორის მსჯულისა. ასე საკითხის გადაწყვეტას მოაქვს ზიანი, როგორც, მხარისათვის, აგრეთვე ხაზინისათვის სასამართლოს ბაჟის გარდაჰხდის სახით.

საჭიროა, ასეთ დადგენილებებს ყურადღება მიექცეს და ახსნილ იქმნეს ხალხისადმი ასეთი შეუფერებელი რეზოლიუციების გამოტანის უსაფუძვლობა.

ზვანელი.

მოწოდება

საქართველოს ვაჭარ-მრეწველო.

ვაჭარ-მრეწველნო! ჩვენი ვაჭრობა და მრეწველობა განსაკუთრებულ ხანას განიცდის. ყოველი საჭირო საქონელი უცხოეთიდან ჩვენში რამოდენიმე ათეულ თუ ასეულ შუამავლის ხელიდან შემოდის, რაც საქონელს ძალზე აძვირებს. საქონელი შემოაქვთ გემებით, რაც საშუალებას უსპობს ყოველ კერძო მწარმოებელს პირდაპირ ფაბრიკანტებიდან თვითონვე შეიძინოს საქონლის საჭირო უფრო მცირე რაოდენობა. ამით სარგებლობენ უცხო ელემენტები და ლამობენ ხელში ჩაიგდონ მთელი ჩვენი აღებ-მიცემობა; ამას ადვილათ აღწევენ, რადგან ისინი ორგანიზაციულათ მოწყობილი და სააქციო საზოგადოებებში და ძლიერ ამხანაგობებში ვაჭრულათ შეკავშირებული არიან. თუ არსებულმა ვითარებამ კიდევ დიდხანს გასტანა და ჩვენი ვაჭრები დაჭსასული დარჩენ, საუკეთესო და უდიდესი ნაწილი ჩვენი აღებ-მიცემობისა ჩვენ მოქიშპეთა ხელში გადავა და ჩვენივე შინაურ ბაზარზე სრულიათ უცხონი გაგვიბატონდებიან.

ამისათვის დაიწყეს ქუთაისის ვაჭრებმა შეკავშირება და სავაჭრო-სამრეწველო საქციო საზოგადოების „საქართველოს“ შედგენა. ჩვენ დიდის სიხარულით ვეგებებით ქუთაისელთა თაოსნობას და საჭიროთ მიგვაჩნია, რაც შეიძლება დროზე დავასრულოთ მოწყობა ამ საზოგადოებისა, რომელიც, მთავრობის მიერ მოწონებულია, ხელს შეუწყობს:

1. ევროპა-ამერიკის ფაბრიკანტებთან კავშირის დაჭერით საქონლის იაფათ შეძენას და პირდაპირ ჩვენს ბაზარზე გამოტანას, რაც საქონელსაც გააიაფებს და მოგებასაც მეტს დაუტოვებს ჩვენს მწარმოებელს. რადგან ჩამოაშორებს მას ურიცხვ უცხო შუამავლებს. აგეთივე სარგებლობას მოუტანს იგი ჩვენს მწარმოებელს ჩვენი ქვეყნიდან ჩვენი საქონლის პირდაპირ, უშუამავლოთ ევროპა ამერიკის ბაზარზე გატანით და ნამდვილ ბაზრის ფასებში ადვილათ გასაღებით.

2. ჩვენივე თვითმოქმედების გაღვივებით და კომერციულ საქმეთა ენერგიულათ წარმოებით გააუმჯობესებს ჩვენი ფულის ტრიალის საქმეს როგორც ჩვენში, ისე საზღვარ-გარეთაც.

3. შეიქმნება ძლიერი კომერციული ფირმა, რომელიც გაანვითარებს ჩვენში ევროპიულად მოწყობილსა და ევროპიულ ტეხნიკით წარმოებულ კომერციას, რაც გაუადვილებს ყველა ჩვენ ვაჭარს უცხოელებთან ურთიერთობას.

დროა, ქართველობამ თავისი საქმიანობის უნარი და სიფხიზლე განსაკუთრებით უცხოელებთან, ევროპის ხალხებთან კომერციულ დამოკიდებულებათა განვითარებას მოახმაროს. განსხვავება უცხოელებსა და ჩვენს შორის ისაა, რომ ისინი იმ თავითვე ევროპის განვითარების ფერხულში მოყოლილი, გაცილებით უფრო ადრე შეუდგნენ მომზადებას და თავიანთი კაპიტალის ორგანიზაციულათ მოწყობას. ჩვენ გვაკლია მათთან შედარებით ჩვენი კაპიტალის, ჩვენი ფულის ორგანიზაციულათ, სისტემით მოხმარება. მაგრამ ეხლა ჩვენ უკვე შეუდექით ორგანიზაციის მოწყობას სააქციო საზოგადოებას სახით.

ყველა ქუთხეში ვაჭარ-მრეწველთა მიერ შედგენილია საორგანიზაციო კომიტეტები, რომელნიც ვალდებული არიან ვაჭრების ფართე კრებებს აუხსნან და განუმარტონ დიადი მნიშვნელობა კაპიტალის ორგანიზაციის აუცილებლობისა.

ყველაფერი მზათ არის. აქციებზე ხელის მოწერა დაიწყო. ვაჭრებმა და მრეწველებმა კიდევ მეტი ხალისი და თანაგრძნობა უნდა გამოიჩინონ, რომ პირველივე ხელის მოწერით შესაძლო გახდეს ძირითადი თანხის კიდევ უფრო გადიდებაც, რომ ჩვენი, ვაჭარ-მრეწველთა მიერ შექმნილი ეს ახალი საქმე ძლიერი იქნეს თავის კაპიტალით, წარმოებით და იმ დახმარებით, რომელსაც იგი გაუწევს თავის აქციონერებს.

ჩვენ მთელი ჩვენი არსებით მხარს უჭერთ ქუთაისელთა ამ თაოსნობას და მოვუწოდებთ ყველა პუნქტეების ვაჭარ-მრეწველთ მხურვალე და ენერგიული მონაწილეობა მიიღონ ამ ახალს სავაჭრო-სამრეწველო საქციო საზოგადოებაში.

თბილისის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები: ი. კვეზერელი-ჯოპაძე, ნ. ჯაველი, ი. დადიანი, ი. ლორთქიფანიძე, ე. ჭავჭანიძე, ნ. სიხარულიძე, დ. კალანდაძე და ა. ქორქია.

მთავარი მართველი ტიტე მარგველაშვილი.

ტრფობა ღამეგული

(ისტორიული რომანი)

66.

შდიდრად მორთულ საწოლ ოთახს შქრალად ანათებდა ვერცხლის მაშხალაზედ მდგარი ერთადერთი ჭრაქი. სუნნელოვან ზეთს ჰაერი შეეთბო მთრობელი რამ სიტკბოთი. ალი ოდნავ ირხეოდა, აქანებდა ოთახში ჩრდილებს. დედოფალი უკვე ჩაწოლილიყო. აშოტი, თავისუფალ ტანთსაცმელით მოსილი, ტახტის ბოლოზედ ჩამომჯდარიყო, ქალის ფერხთით. ბოროტად აღელვებული ქალი შფოთავდა საბნის ქვეშ, მჭახედ ამბობდა, მოუსვენრად ინძრეოდა, ხელ-ფეხს აწყვეტდა. შრიალი არ გაჰქონია ბუმბულივით ლბილ ლოგინს. ალეწილ სახეზედ დედოფლისა ბოროტად ენთო სიძულილის მსახველი თვალები.

ვაჟკაცი უფრო წყნარად იყო. იგი თვალს ადევნებდა ცოლის უნებლიეთ მოძრაობას, ყურს უგდებდა მის თქმას. სიტყვებს კი არა: ზეპირად იცოდა, რას ეტყოდა მას განრისხებული მეუღლე, ის ყურს უგდებდა მის ხმის ბგერას და მიმოხვრას, რომ გაეთვალისწინებინა, რამდენად იყო გურანდუხტ განრისხებული. ითმენდა ვაჟკაცი: სიტყვა მიეცა მას თავის თავისათვის, ბოლომდინ დაეთმინა. იმ ჰაზრით შესულიყო დედოფალთან, იმ ფიქრით მოიახლოებოდა სარეცელს თანამემკვიდრისა, როგორმე მოელბო მეტის მეტად გამეხებული მისი გული; შეეგნებინებინა, რომ მის სიმკაცრეს ვერ შეეძლო უარ ეთქმევინებინა იმაზედ, ვის განშორებაც ვერას გზით ველარ შეეძლო ვაჟკაცს, ვინ სიცოცხლეზედაც უძვირფასესი შექმნილიყო მისთვის. უნდოდა ბოდიში მოეთხოვნა თვისგან უნებლიეთ შეურაცყოფილ მეუღლის წინაშე, აღეთქვა მისთვის ყოველივე მსხვერპლი, გარდა შუქურის მოშორებისა; შეჰვედრებოდა, დაეთმო ეს ცოდვა მისთვის, თუ ცოდვად მიიჩნეოდა ორმხრივი სიყვარული ესეთი დიდი; შეჰრიგებოდა ვაჟკაცის ამ ვნებულ მისწრაფებას. ამისთვის ითმენდა აშოტი მეუღლისაგან შეურაცყოფას, ამისთვის ისმოდა მუდარა უმწეო მის ხმაში.

— რას გიშლის ის საწყალი ქალი. შენი მოახლეა, შენი მხევალი, შენად სამსახურად დადგინებული. შენ არ იცი, რა დიდს პატივსა გცემს იგი შენ?

— დიდს პატივსა გცემს?! ოჯახს მირღვევს, საიდუმლოს ქორწინებისას შეჰბღალავს, საგმობლადა მდებს მთელის ქვეყნის წინ და დიდ პატივსა მცემს?! იქნება მე მხილოდ დედოფალი ვარ, ხოლო ის შენი თანამემკვიდრე ნაკურთხი?

— დედოფალი გვირგვინოსანი, თანამემკვიდრე ეკლესიისაგან მოცემული დედა შვილთა ჩემთა! ვერვინ შეგეცილოს შენ ამაში ვერასოდეს! გარნა სუსტია გული კაცისა, თუნდაც შემმართებელის ვაჟკაცისა; იგი მორჩილი მონაა მისთვის აღმოცენებულის ტრფობის ყვავილისა, ძლიერად მიმზიდველის სიყვარულის ყვავილისა. ვერ ძალმიძს განვეშორო მას!

— მთლად დაჰკარგე სირცხვილი, კდემა! რა გნებავს ახლა?

— მსურს, დასთმო ეს ჩემი სისუსტე და მიმსახურო მეფე ძლიერი, მამა მზრუნველი შენის შვილებისა.

— როგორ თუ დავთმო?!

— ისე, ვით დასთმო მეუღლემ მეფის დავითისა, როცა იმან მიიყვანა სამეფო პალატაში ბერსაბე, დედა სოლომონისა; როგორც დასთმეს სოლომან ბრძნის მეუღლეებმა, როდესაც ის ჰაბუკურის ეშხით ეტრფიალა მისთვის ფასდაუდებელი აეშას.

— როგორც მაჰმადის მეუღლეებმა?! ნუ თუ განრისხდა ღმერთი და უარჰყავ ჯვარი ქრისტესი, მიიდრიკე აგარიანთა სჯულისადმი უსჯულოისა. ჭეშმარიტად წარმოშობილია მეძავი იგი ძალთაგან ჯოჯოხეთისა ცდუნებად შენდა დარღვევად ჭეშმარიტის ჩვენის სჯულისა!.. იგი მეძავი თვით ეშმა არის ძალთა მიერ ბელზებულისა მძლედ შემოსილი!.. განვედი ჩემგან, კაცო ბოროტო!.

განვიდა მისგან მეფე მეედრებელი, განეშორა სამუდამოდ თავის მეუღლეს ეკლესიისაგან განუყრელად შეკავშირებულის თავის თანამემკვიდრეს. ბოროტით აღივსო სული ვაჟკაცისა გურანდუხტისადმი, მკაცრ სიძულვილით; გაიყინა დედოფლისათვის გრძნობათა შესაკრებელი მეფისა, მთლადაც გაქვავდა. აშოტის ბუნება აწ განუყრელად შეუერთდა შუქურს სპეტაკსა, სხივთაგან შეთხზილ მის არსებასა. ეხლა აღარ ეკრძალებოდა მეფე არავის, არა ჰფარავდა თავის კავშირს სხვათაგან გმობილს; ცხადად ეტრფიალა აწ იგი შუქურს. რაღა გასდრეკდა მიჯნურს გატაცებულს, რაღა შეაკრთობდა ბუმბერაზს აღტაცებულს?!

არა, ზრდილობის სამზღვარს კი არ გადადიოდა მეფე — მიჯნური, გარეგან სახეს კეთილ ქცევისას. უარყოფილი მეუღლე მისი ისევ დედოფალი იყო დიდებული, ხოლო შუქური ერთი ქალთაგანი მსახური სასახლეში; გურანდუხტ ისევ პატივსადები დედა იყო უფლისწულებისა, პირველი მანდილოსანი სამფლობელოში, ხოლო ბუნებით დედობისაგან აწ უარყოფილი შუქური მხოლოდ ქალი იყო აშოტისაგან სათაყვანებელი, მის პირად განცდათა დედოფალი და მფლობელი, მის სიამეთა ჰპრქველი უშრეტელი. ახ, ძლიერ ნაზად ნაგები ჰპრქველი, მჭვირვალე რამ ნივთიერებისაგ შექმნილი. ერთი უხეში შეხება და დაიმსხვრებოდა იგი ძვირფასი, დაილეწებოდა, გამტვერდებოდა. გარემოსდგომოდნენ მას ბევრეულნი სამტროდ, დასათრგუნად, შესამუსრავად. რა დაიფარავდა უმწეოს მოძულეთაგან მისთა, ისართაგან სიბნელეში მისკენ სრეტულთა, ლახვართაგან მის გულისაკენ იდუმალ გაწვდილთა, წყევათაგან მისადმი კვამლად მიმართულთა?! ვინ ჰყვანდა საბრალოს მაშველი თუ ხელის ამბყრობი, ვინ უვიოდა დარაჯად მის უმწეო გულკეთილობას?! არავინ, სრულიად არავინ, გარდა აშოტ საყვარელისა! საბიერი და ფრიად კეთილი, თითონ სულ უმწეო იყო დაეფარნა თვისი თავი მტერთაგან გარემოჯრილთა.

და შეებრალა ვაჟკაცს ქალი უმწეო, მტერთა და მოშურნეთაგან გარემოცული; გრძნობა აუდუღდა ისეც მისთვის გულმხურვალესა; თან შიში იგრძნო ქალის შესახებ, მძიმე რამ მომავალი განუმჭვრეტელი, ბნელად მოდებული. თუ უბედურობა შეემთხვეოდა ქალს, ეს ხომ მისი ბრალი იქმნებოდა, მეფე აშოტისა, რადგან შუქური მან გაიტაცა ამ საბიფათო გზაზედ, მან წაართვა ქალს გული და გაიტანა მგესლავებით სავსე ალაგას.

— იცი, სიცოცხლევ, ძვირფასი რომ ხარ ჩემთვის, იმისთვის მეშინიან შენ შესახებ, დიდი რამ შიში მიბყრობს, ძრწოლა განუსაზღვრელი, ჩემთვის თითქმის შეუმართებელ—უძლეველი.

— გეშინიან შენ, მრავალჯერ სიკვდილის პირისპირ მხილველო?! გეშინიან შენ, უშიშარო, ვითა უხორცოვ?!

— არა ჩემი სიცოცხლის გამო! აქ არ ვიცი შიშნეულობა. იმასა ვფიქრობ, ბრაფერი აგვიტეხონ მოშურნეებმა.

— რა უშავს, ჩემო ხელმწიფევ! მე სრულებით არ მაფიქრებს ეგ: თუ ავი შემემთხვევა შენის გულისათვის, თუნდაც სიკვდილი, საამო იქნება ის ჩემთვის, სასიქადულო. თავსაც შეშოგევლების შენი შუქური!

— მე ხომ საბრალო შევიქმნები უშენოდ, გაუხარელი, სიცოცხლე მობეზრებული. მზის შუქი ლახვრად დამესვება გულს შუქურის დამკარგავს; მთავრის შარავანდედი ბნელ საბურველად მოედება ჩემს სულს, შენს შუქს მოკლებულს; ვარსკვლავთ ციაგი არსებას ჩამიბნელებს შენგან მოწყვეტილს. აღარად ვეგარგები უშენოდ: უსულო როგორღა გამოვსდგები ან რიღასთვისა, ჩემო სულისდგმავ!

— ახ! რად გეკეთე ეგრე მეტად, ვაჟკაცო ჩემო. ტრფიალის ნაცვლად რა შემოგძღვნა საწყალობელმა?! სიცოცხლე დავსდვა შენ საამოდ, სული გავსწირო!

— არ ვიცი რად. ამბობენ, ქალვაჟი წყვილად შეიქმნებიანო განგებისაგან ერთმანეთისათვის, მხოლოდ ის იშვიათნი იგემებენ უშრეტ სიამეს, ვინც შეჰხვდებიან ერთმანეთს ზღვა ცხოვრებაში, სხვები დადიან განუჯვრეტელ სიბნელეში მნათობთაგან გაბრწყინვებულ დედამიწაზედ.

— მართალი იქნება. რა ბნელი იქმნება უშენოდ ჩემი სიცოცხლე! მთლად ძნელი იქმნება იგი, აუტანელი ..

— გეთაყვანე, ჩემო ლამაზო!

— აშოტ საყვარელო, მითხარ, მანუგეშე: უთქვამთ, ჭეშმარიტი სიყვარული დაუსრულებელია, ვით ჟამთა დენა; უკვდავიაო, ვით ღმერთი, რომელ არს თვით სიყვარული. თუ ესეა, მაშ იმ ქვეყანადაც გაგრძელდება მჯნურობა ამ ქვეყნიური, და უფრო ამაღლებულიც, მთლად განწმენდილი, უფრო უტკბესი.

— ამაზედ ტკბილი?!. უფრო სპეტაკი?!.

— ნეტავ ერთად იხოცებოდნენ მოსიყვარულენი! მოვკვდები, სული შეუდგება სავალს დაუსრულებელს. სადღა გიპოვო უსაძებრო სივრცეში?! გამტანჯავს შორს ყოფნა შენი, მთლად გამაწამებს. მსურს შენი ვიყო მე იმ ქვეყნად, შენი სიახლით ნეტარ-ყოფილი მხევალი შენი! უთხრა ქალმა აღტაცებით.

და გადაეჭდო ბუმბერაზს, მიეკრა, მიეწება, ყელ-ყურში ჩაუყო სახე, მთლად გადაბურა თმათა ტევრებით. უყვარდა აშოტს ქალის თმის ჩაშლა. ვაჟკაცს მტკიცედ ეჭირა ქალი მძლავრ მკლავებში, როგორც სიცოცხლე ძვირფასესი, ვით ნეტარება მისთვის ხოცსხმული, როგორც სიამე გამოუთქმელი. იკრავდა იგი ქალს მძლავრ მკერდში და აღთქმასა სდებდა, არ გაეშვა იგი, არ დაეტოვებინა არასოდეს, არც ამ ქვეყნად, აღარც იმ ქვეყნად.

გასილ ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

წერილი რედ. მიმართ

„საქართველოს“ 152 ნომერში მოთავსებულია ბ. ნ—ის წერილი, რომელშიც ავტორი, ქ. თბილისის მეთერთმეტე სამილიციო უბნის კომისარს ჩიქვინიძეს და მის თანაშემწეს მუსელიანს სახავს სხვა და სხვა ბოროტმომქმედ პირებად. ვინაიდან შეუძლებლად და ზედმეტად მიგვაჩნია გაზეთებია ფურცლებზე ამ გვარ საქმეებზე თავის მართლება, ამისთვის ვსთხოვთ ავტორს აღნიშნულ წერილისას, სამი დღის განმავლობაში დღიდან ამ წერილის დაბეჭდვისა, გამოამჟღავნოს თავის ნამდვილი ვინაობა და „სათანადო არგუმენტები“, რომელთაც თვითონ ბრძანებს, ჩვენს შესახებ, გადასცეს გამოსაძიებლად სადაც ჯერ არს.

შედეგი გამოძიებისა გამოქვეყნებულ იქმნას პრესაში და დამნაშავე მხარე დასჯილი თანახმად საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა.

ქ. თბ. მეთერთმეტე სამილიციო უბნის კომისარი **ჩიქვინიძე.**

თანაშემწე მისი **კ. მუხელიანი.**

—

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ ნება დაგვრთოთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და აბაშის გიმნაზიის სასარგებლოდ თავისი წვლილი გაიღეს.

სია შემომწირველთა:

150 მან. შემოსწ. ლევ. ზოდელავამ; ას-ასი მანეთი—ივლიანე ხოფერიამ, პ. ქავთარაძემ, დ. სარბედიამ, მ. ცომაიამ, ონ. ქვანიამ, ბეს. კუციამ, პ. ურუშაძემ, ვ. აფხ. ქორჩილავამ; 60 მან.—არ. ჭანტურაიამ; ხუთ-ხუთი თუმანი—ევგ. ფულარიამ, რ. გამსახურდიამ, ნ. ეჭიბიამ, ბ. ყურაშვილმა, თ. ადამიამ, კიზირიამ, კ. ცავამ, ალ. ჭანტურაიამ, პიშ. გეგეჭკორმა, აპ. რიგოვამ, ლ. ჯობავამ, გ. ბარაქაიამ ირ. კვეშილავამ, აკ. ხორავამ, გიორ. შავდიამ, ჰოლკ. ჰლ. ჩიქოვანმა, კ. ქვანიამ, ხ. ქვანიამ, ვ. დონდოლაძემ, ვ. დიდიამ, მ. ესაკიამ, ამ. ინწკირველმა, ს ხოშტარიამ, ვ. ჩიქოვანმა, ვ. მალანიამ, კ. ვეკუამ, ვ. ლოლუამ, ი. ანჯაფარიძემ, ა. ნოდიამ, ბ. დიდიამ, ერ. ერაბიძემ, ე ალავიძემ, რ. დვალიშვილმა; 40 მ.—ალ. ხირიამ; 30 მან.—ან. კებურიამ; 25 მან.—ს. ლორთქიფანიძემ, სტ. წულესკირმა; ოცოცი მან.—კ. ჯანჯღავამ, ა. ქალანდარიშვილმა, ალ. აბშილავამ, კ. გეგეჭკორმა, მ. გუგუნავაშვილმა, ირ. ბარკალაიამ, რ. ხაინდრავამ, ს. კოკნავილიძემ, ბ. გაბესკირიამ, კ. გვაჯავამ, ბ. ლომიამ; თხუთმეტ-თხუთმეტი მან.—ა. ჩიქობავამ, ი. თოფურიამ, თ. ქაჯაიამ; ათ-ათი მან.—კ. გვაზავამ, მ. ეფრემაშვილმა; 5 მან.—ალ. იმედაშვილმა*).

ამასთანავე გულითად მადლობას ვწირავთ ყველა იმ პირთაც, რომელთაც ახლო მონაწილეობა მიიღეს გიმნაზიის სასარგებლოდ 15 ივნისს გამართულ სეირნობის მოწყობაში.

აბაშის გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო.

*) ადგილის უქონლობის გამო ლატარიისათვის საჭირო ნივთების შემომწირველთა სიას, სამწუხაროდ, ვერ ვათავსებთ.

მიმოსვლა

სახალხო მატარებლებისა

ს. ს. რკ. გზ

გადის თბილისიდან.

ფოთში	№ 21	ღამ.	12	ს.	5 წ.
ქუთაისში	№ 10	9 საღ.	8	ს.	7 წ.
ბათომში	№ 5	საღ.	5	ს.	4 წ.
ფოთში	№ 3	დილ.	9	ს.	56 წ.
ბათომში	№ 1	ღამ.	11	ს.	30 წ.

მოდის თბილისში

ბათომიდან	№ 2	დილ.	7	ს.	—
ფოთიდან	№ 4	საღ	8	ს.	45 წ.
ბათუმიდან	№ 6	შუად.	12	ს.	10 წ.
ქუთაისიდან	№ 11,12	დილ.	9	ს.	30 წ.
ფოთიდან	№ 22	დილ.	6	ს.	06 წ.

თბილისი-სალოლლი

გადის სალოლლში

№ 8 საღამოს 6 ს. 5 წ.
№ 6 შუადღის 2 ს. 32 წ.
№ 4 საღამოს 9 ს. 50 წ.

მოდის სალოლლიდან.

№ 3 დილის 7 ს. 27 წ.
№ 5 ნაშუად. 3 ს. 5 წ.
№ 7 დილის 11 ს. 52 წ.

თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.

გ ა დ ი ს

№ 63 შუადღის 2 ს. 40 წ.
№ 61 დილის 7 ს. 52 წ.
№ 19,20 შუად. 3 ს. 26 წ.

მ ო დ ი ს:

№ 19,20 დილ. 6 ს. 30 წ.
№ 62 დილ. 11 ს. 24 წ.
№ 64 საღ. 8 ს. 4 წ.

თბილისი-სანაინი

გ ა დ ი ს:

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

მ ო დ ი ს:

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

შენიშვნა 1. მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონელის.

შენიშვნა 2. მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

ქალთა ავათმყოფობის
მკურნალი-სპეციალისტი
ა.ლ. ტგოლაძე
საუფლისწულო ქ., 8 (Удѣльная 8).
პირადით ვარჩენ საშვილოსნოს ავადმყოფობისაგან (раздраженіе и бѣшенство матки).
მიიღება საღამოს 3—7 საათამდი.
7—2545—1

საექიმო კაბინეტი
ექ. პ. ცუცულაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესე და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის ავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს ბლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ
საათ 25—2536—1

გ. გ. მგრაგიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ქლეჭისა გულისა. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გ სინჯვა და წამლობა ჯ ს სპეციალის დიდი სალენინიდი და სხვების კით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1
7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძე
კვინტაძისა
იღებს კანისა, ვენერიული და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.